

საქართველო

X V. საქართველო. გაზეთი. X V.
 № 5. კვირა, 27 იანვარი 1902 წ. № 5.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი — სამი შური.
 სკლის მოწონება: თფილისში — «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12. ტელეფონი № 734.
 ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВА.ЛИ“.

შინაარსი: მთავარმართებლის განკარგულება. — მარი ბროსე — შინაური მიმოხილვა. — სხვა-და სხვა ამბები. — კორესპონდენციები — რუსეთის ცხოვრება. — საზღვარ-გარეთ. — მისივე ბრალია, მოთხ. ივ. ფრანკოსი, თარგმ. კ. ჯაფარიძისა. — წერილი ბელგიიდან, ლ. დ. ისა. — გურიის „შუამავლის“ კრება, Nina-სი. — სიტყვაკაზმული მწერლობა 1901 წელს, ი. გომართელისა. — მცირე შენიშვნა ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის შესახებ, ი. პ. ასი. — წერილი რედაქციის მიმართ. — განცხადებანი.

კავკასიის მთავარმართებელმა იანვრის 18-ს გამოცხადებული სავალდებულო დადგენილება:

- მუხ. 1. შეკრებულება ქუჩებში, მოედნებზე, ბაღებში, ქარვასლებში და ვაგზლებში და სხვა საზოგადო ადგილებში ისეთი თათბირისა და მოქმედებისათვის, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადო წესიერებას და მშვიდობიანობას და აგრეთვე თავის-მოყრა ცნობის მოყვარე ხალხისა — აკრძალულია.
- მუხ. 2. თავ-მოყრილი ვალდებული არიან პოლიციის პირველი მოთხოვნისამებრ დაუყოვნებლივ დაიშალონ.
- მუხ. 3. ვინც სიტყვა-შეუბრუნებლათ და დაუყოვნებლივ არ დამორჩილება პოლიციის მოთხოვნისას, იმათ, თანახმად მე-15 და მე-16 მუხლ. სახელმწიფო და საზოგადოებრივი მშვიდობიანობის წესდებისა, გარდასდებათ ჯარიმა 500 მანეთამდე, ანუ დაპატიმრებულ იქნებიან ხუთ თვემდე. ამ სასჯელის დადება და დაჯარიმება, თანახმად გამოიყენებულა დაცვის წესების 16 სტ. პირველი მუხლისა, მივანდე თფილისის გუბერნატორს.
- მუხ. 4. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოცხადებისა („კავკ.“).

მარი ბროსე.

24 იანვარს შესრულდა ასი წელიწადი მარი ბროსეს დაბადების დღიდან (გარდაიცვალა 1880 წ. 22 აგვისტოს). იშვიათია ისეთი ქართველი მკითხველი, რომელმაც არ იცოდეს მარი ბროსეს სახელი და პატივისცემით არ იხსენიებდეს მას. მისი ღვაწლი იმდენათ საგულისხმოა ჩვენი მეცნიერულ გამოკვლევას მოკლებული წარსულისთვის, რომ ჩვენი ერი ყოველთვის მადლობით და პატივისცემით მოიგონებს მის სახელს.

მარი ბროსე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩვენ წარსულს, შეუდგა მ.ს. გამოკვლევას, გაიხადა იგი სპეციალურ საგ-

ნათ, და ბოლოს ისეთ პირობებში ჩააყენა, რომ დღეს კოტათ თუ ბევრათ უზრუნველ ყოფილია მისი შესწავლის საქმე.

ჩამომავლობით ბროსე იყო ფრანგი, მან სწავლა დაასრულა ისის სემენარიაში, მაგრამ რადგანაც იგრძნო, რომ არ ქონდა საეკლესიო სამსახურისადმი ლტოლვილება, გადავიდა პარიჟში და შეუდგა ფილოლოგიის და აღმოსავლეთ ენების შესწავლას. მან მოკლე დროში შეისწავლა ბერძნული, ლათინური, ებრაული, არაბული.



მარი ბროსე.

ჩინური, მანჯურული და ტიბეტური ენები. შემდეგ შეუდგა ქართული და სომხური ენის შესწავლას და ბოლოს კი მის საყვარელ და სამუდამო შესწავლის საგნათ შეიქნა ქართული ენა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ევროპაში არ მოიპოვებოდა რიგიანი მასალა ქართული ენის შესასწავლათ, ბროსემ დიდი მეცადინეობით შეისწავლა იგი

და 1830 წ. ჩვენ ვხვდებით მის ქართულ ენაზე მიწერ-მოწერას თეიმურაზ ბატონიშვილთან, ხოლო ამაზე წინეთ 1828 წ. «აზიურ საზოგადოებაში» კითხულობს მოხსენებას საქართველოს შესახებ სოციალური, ისტორიული და ლიტერატურული მხრით.

მაგრამ ბროსე მაინც არ იყო კმაყოფილი თავისი ცოდნით. მას უფრო ზედმიწევნით უნდოდა გაეცნო ქართული ენა, საქართველოს ძველი და ახალი ცხოვრება.

ამისთვის მან რამდენჯერმე დააპირა საქართველოში გამოგზავრება, მაგრამ უქონლობისა გამო სურვილი ვერ აისრულა. არა ერთხელ მიმართა ამ მიზნით საფრანგეთის აკადემიასაც, მაგრამ ხან პოლიტიკურმა ცვლილებამ და ხან სხვა გარემოებამ შეუშალეს ხელი და საწადელს ვერ მიახწია პეტერბურგში მოპატივებამდის.

ნივთიერათ გაქირებულმა ბროსემ 1834 წ. დაბეჭდა სხვათა შორის „საქართველოს ცხოვრება“ ორ ნაწილათ და „ქართული გრამატიკა“ ორ გამოცემათ. გადათარგმნა და დაამზადა დასაბეჭდათ ქართული სამართლის წიგნი ვახტანგ მიფისა. შეკრება და გადათარგმნა ბევრი ქართული სიტყვები ლექსიკონისათვის.

1836 წელს ის აირჩია პეტერბურგის აკადემიამ თავის წევრათ და 1837 წელს ბროსემ გადმოსახლდა პეტერბურგში. პეტერბურგში და მოსკოვში გაეცნო ის ქართულ ხელნაწერებს და თავის გამოკვლევებს ბეჭდავდა აკადემიის გამოცემებში. ამავე დროს მან თარგმნა ფრანგულათ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი და თავისი მასალებიც მიახმარა მას. 1841 წელს მან მიიღო მონაწილეობა „ვეფხვის-ტყაოსნის“ გამოცემაში, 1842 წელს პეტერბურგის აკადემიას გამოაცემინა საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა, რომელიც თითონ თარგმნა ფრანგულათ. 1839—1840 წლ. მან გამართა ლექციები ქართული ენის შესახებ.

1847 წელს ბროსესს შეუსრულდა დიდი ხნის წადილი და ჩამოვიდა საქართველოში. აქ მან თერთმეტი თვის განმავლობაში მოიარა საქართველოს სხვადასხვა კუთხე და დაბრუნდა რა პეტერბურგში, გამოცა ფრანგულ ენაზე „არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოში“. გამოცა აგრეთვე ფრანგულ ენაზე „ქართლის ცხოვრება“. შეაგროვა მრავალი არქეოლოგიური მასალა და მით გააცნო ევროპას საქართველოს წარსული ადმინისტრაციული და ეკონომიური ცხოვრება.

როგორც მისი საშეცნიერო შრომის მოკლე აღწერას ხვიდან დაინახეთ, მას ერთობ ბევრი ნაღვაწი აქვს. მართალია, მისი შრომები არ არიან მოკლებული ზოგიერთ ნაკლს, რაც აუცილებელიც იყო საქმის დამწყებისთვის, მაგრამ ჩვენი ენის და ისტორიის მეცნიერული შესწავლის გზაზე დაყენება მაინც უკვდავ ყოფს მის სახელს ჩვენი ერის ხსოვნაში და დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ ჩვენ შემამულეთა შორის აღმოგვჩინოდეს ბევრი ისეთი დაუღალავი და ნაყოფიერი მკვლევარი ჩვენი წარსულისა, როგორც იყო განსვენებული ფრანგი მეცნიერი.

შინაური მიმოხილვა.


დღეისწორს მოხდა ღურგალთა ამხანაგობის წლიურ კრება. ჩვენ ყოველთვის სიპატიით ვეკიდებით ამ ამხანაგობას და აქაც წარმატების მეტს არას ვუსურვებთ, მაგრამ, სამწუხაროთ, ამ წარმატების ნიშნებს ვერ ვხედავთ. წინააღმდეგ, უკანასკნელ საოპერაციო წელშიაც 50 მანათამდე ზარალი უნახავთ, როგორც ანგარიშიდან ჩანს, თუმცა გამგეობა ამბობს, რომ ეს ზარალათ არ ჩაითვლება, რადგან ზოგი რამ ინვენტარისთვის შევიძინეთ და ანგარიშში არ შევიტანილა. ჩვენი აზრით, ესეც მეორე ზარალია, რომ გამგეობას ანგარიშიც კი ვერ შეუდგენია, მაგრამ ორივე ეს შედარებით არაფერი იქნებოდა

და ჩვენც არ მივაქცევდით ყურადღებას, რომ უფრო დიდ ზარალს—ზნეობრივს—არ ქონდა ექვემდებარებულ გორც ვიცით, ეს ამხანაგობა ანუ არტელის ამხანაგობაა. მისი მიზანია ხელი გაუწყოს და სამუშაო მიაწოდოს ცუდათ დარჩენილ ამხანაგს. ჩააყენოს მშრომელი ისეთ პირობებში, რომ მას თავის შრომის ნაყოფს საესებით უბრუნდებოდეს და ამასთანავე დაეხმაროს მშრომელთა შვილებს ხელობის შესწავლაში, მოამზადოს ისინი მომავალში ისევე შრომით ცხოვრებისათვის. მიზანი მეტათ პატივსაცემი და თანაგრძნობის ღირსია და ოდნავაც თუ დაუახლოვდა ამხანაგობა ამას, მის არსებობას საფუძველი ექნება. სამწუხაროთ, უკანასკნელ კრებაზე გამოირკვა, რომ ვერც ერთს ამათვანს ვერ ახწევს ამხანაგობა თავის მოქმედებით. გამოირკვა, რომ შიგ ქარხანაში მომუშავე ქარგლებისაგან საკმაო მსხვერპლს თხოვლობს ამხანაგობა—მათი გასამრჯელო ნაკლებია, ვიდრე, როგორც თვით ქარგლები ამბობდენ, უკანასკნელ ჩარჩ კერძო აღასთან. ჯამაგირების დარიგებაც თავის დროზე არ ხერხდება და ხშირათ ორი-სამი თვე რჩება ქარხანაზე და ამით, რასაკვირველია, სარგებელი ეკარგებათ.

გამოირკვა კიდევ ერთი მეტათ სამწუხარო წესი, რომელსაც აღგილი ქონება ამ საამისსაგო საქმეში: შემოულიათ დამგვიანებელთათვის ჯარიმები 15 წ. 2 1/2 საათი და ასეთი შემთხვევა ყოფილა 80 ანუ ქარხანას შეურჩენია $80 \times 2 1/2 = 200$ საათის შრომა, რაც ფულზე გადაღებული შეადგენს (დღე ათი საათი და ქირა 1 მან. 50 კ. რომ მივიღოთ) $20 \times 1,5 = 30$ მანათის. დაახლოვებით მაინც ასეთი ციფრი იქნება, და ესეც უნდა მივმართოს ზარალს გაორკეცებული, რადგან ეს შრომა მუქთათ შერჩა ამხანაგობას და ნორმალურ პირობებში კი ეს საფასე უნდა გაეღო, ე. ი. 60 მან. ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანათ შენიშნეს ქარგლებმა, რომ ასეთი სასტიკი მოპყრობის ნება არა აქვს გამგეობას, რადგან თვითონ ვერ ასრულებს თავის მივალეობას მშრომელთა წინაშე (იხ. ზევით). არ გვგონია, მართლაც იმდენი აღგილი ქონდეს აქ განზრახ, უმიზეზოთ დაგვიანებას, მართლ დილის ძილის სიტკბოებისათვის, როგორც გამგეობა ამბობდა, და ამიტომ ასეთ საამხანაგო საქმეში ამისთანა წესების შემოღება არაა სასურველი. ჯობს სულ მოიშორონ თავიდან ისეთი ამხანაგები, რომელთაც მეტათ არ აქვთ შეგნებული საერთო საქმის ინტერესი და ქარხნის თუ ხელსაწყოს უმოქმედოთ დატოვებით ზარალს აძლევენ ამხანაგებს. ხოლო თუ გაქირვება და რამე საოჯახო საქიროება ავგიანებიებს ამხანაგებს, ის გამოუკლონ, რაც დაიგვიანეს, როგორც იგივე ახალგაზდა ქარგლები და მათი უფროსი ამხანაგებიც თხოვლობდენ. ჩვენ გვგონია ამ გზას დაადგება ამ საგნის გამოსარკვევათ არჩეული კომისიაც.

ჩვენ დიდი სიამოვნებით აღვნიშნავთ გამგეობის ზრუნვას შეგირდების სწავლა-განათლებისათვის, მაგრამ გვაკვირვებს, რომ უმთავრესი დავიწყნია. მათი ბინა არც მეზობლობით და არც თვით შიგნითი მოწყობით არაფერს არა გავს, როგორც თვით გამგეობაც დაეთანხმა ამ კითხვის აღმძვრელთ.

ყოველივე ეს ძნელი სათქმელი იყო. ჩვენ სრული პატივისცემით ვეკიდებით გამგეობას, რომლის წევრები



ზოგი უსასყიდლოთ და ზოგიც იმაზე ნაკლები გასამრჯელოთი მუშაობენ, ვიდრე სხვებთან იშოვიდნენ, მაგრამ მაინც წმინდა მოვალეობათ მივგახანია ნაკლის აღნიშვნა, მით უმეტეს, რომ ყოველივე ამასთან ერთი ღირსება მაინც რჩება ამხანაგობის ქარხანას: იქ მშრომელი ზნეობრავათ თავისუფალია, საქმე აქვს თავის სწორ ამხანაგებთან... ეს ამხანაგობა აკავშირებს მათ ერთმანერთთან და მარტო ამისთვის არის სასურველი მისი არსებობა, მოლონიერება და ფეხზე დადგომა, მაგრამ მის წინ ცხოვრება აყენებს ისეთ დილემას, როგორც ყველა მას მზგავსთა წინაშე: ან ამხანაგური კავშირი და ასეთი გაქირვებული ვაი-ვაგლახით სვლა, რომელიც მეტს თხოვლობს წვევებისგან, ვიდრე აძლევს და ღებულობს ფილანტროპიულ, ქველმოქმედურ ხასიათს, ან ვაჭრულ-კაპიტალისტურ ნიადაგზე დადგომა, ისეთივე წესებით, ისეთივე მოპყრობით, როგორც კერძო მწარმოებლის ანუ ყველა კომერციულ ამხანაგობებშია, და მხოლოდ შირმა ამხანაგობისა. აი ამ გზა-ბორძალის წინ არის დღეს ეს ამხანაგობა და მომავალი გვაჩვენებს საით წავა. ვისურვებთ კი, თუ ჩვენ სურვილს რამე შეუძლია, პირველი გზით ველოს და მეორისებური მოგება ენახოს, მაგრამ ეს საეჭვო და შეუძლებელიცაა, სამწუხაროთ.

* * *

ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ თვით-მოქმედებაზე, მაგრამ, უნდა გამოვტყდეთ, არც ერთ სათვით-მოქმედო ასპარეზზე არ გამოგვიჩინია ამის უნარი: არც წოდებრივ, არც ქალაქის თვითმართველობაში და არც კერძო სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობებში, თუმცა უკანასკნელთა დაარსებას დიდი ამბით ედღესასწაულობთ, მათი შემწეობით თვით ევროპის კაპიტალის შემუშვრასაც ელამობთ და ბოლოს ისევ ლიკვიდაციას მიდგება ხოლმე საქმე. ან კი როგორ უნდა წავიდეს საქმე, როცა ყველაფერს ჩვენებურათ, ქართველურათ ვიწყებთ. მაგონდება და სიცილი ვერ მომიკავებია, რა ამბით დაარსდა თფილისში სავაჭრო ამხანაგობა „შუამავალი“, რომელსაც კონკურენცია უნდა გაეწია თფილისის სხვილ ვაჭრებისთვის, თუნდ სომხებისთვის. მერე იცით, რა გზით უნდოდათ მიზნის მიხწევა? იყიდოდნენ ერევნის მოედანზე, იმავე იანციდან, პატარა პარტიას საქონლისას, გადმოიტანდნენ გოლოვინის ბროსაქეტზე და ...იწყებოდა კონკურენცია. სწორეთ ჩვენებურათ, ქართველურათ საქმის წაყვანა ამას ქვია. საზოგადოთ ქართველისთვის ბედს არ მიუცია ვაჭრობის შნო, მაგრამ როცა ქართველი რამე კრებულს შეადგენს, მაშინ მთლათ კარგავს მისაზრებას და ამ თვისებაში ჩვენი ერის ავანგარდი—იმერეთი და მაში კიდევე მოწინავე გურია—მეთაურობს.

აიღეთ უკანასკნელი კრება გურიის „შუამავლისა“, რომელმაც აღადგინა ისევ ს. ჭეიშვილი, 16 დეკემბრის კრებაზე უარყოფილი და საქმიდან გადაყენებული. არ იცით, რომელი კრება ტყუის და რომელი მართალია. არ ავხირდებით და არ მოვახვეთ ბნ ჭეიშვილს ბოროტ-მოქმედებას, და განზრახ ამხანაგობის ზარალში შეყვანას, რადგან ამაზე დიდი საყვედური მოწერა მან ჩვენ რიგო-ლეტოს, მაგრამ თუ ის კეთილსინიდიისიანი კაცი იყოს, თვითონაც უნდა დარწმუნებულიყო და ეგრძნო თავისი უფარვისობა, მას შემდეგ, რაც დეკემბრის კრებაზე გამოიჩქვა, რომ მისი წყალობით ამხანაგობას აუარებელი ვალი დაატყდა.

მისი უფარვისობა და თვითნებური მოქმედება ვერც მისმა მეგობარმა „ცნობის ფ-ლის“ დამსწრე მსმელთა თუმცა გაცვეთილი ფრაზით ამართლებდა. რა უფრო, ვაჭრობაში წაგება და მოგება ძმებიაო. დავანებოთ თავი ჭეიშვილს, რომელიც დღეს მიტათ კმაყოფილია ალბათ საქმის მოკოროპინებით და შევეკითხოთ ოზურგეთლებს, რა დაინახეს ახალი უკანასკნელ კრებაზე, ან რით დარწმუნდნენ ჭეიშვილის ვარგისიანობაში, მას შემდეგ, როცა მათმა არჩეულმა კაცებმა უარი განაცხადეს საქმის გაძლოლაზე, რადგან იმდენათ არეული დაინახეს იკი? ნუ თუ მართლა რწამთ, რომ საქმის წამხდენს მისი გამოკეთებაც შეუძლია. ასე რომ იყოს, მაშინ ხომ ძალიც არ დაყვედა ჩვენ ბედს, იმდენი წამხდენი გვყავს. თუ მართლა ის პირადი ანგარიშები ამოქმედებდათ, რომელთაც ჩვენი თანამშრომელი აღნიშნავს (იხ. „შუამავლის“ კრება)? მერე ეს არის, გურულებო, თქვენი მოწინავეობა, ამისთვის შევხარით თქვენში განათლების გავრცელებას? თუ თავისი სასწაულებით მოგინადირათ ბ. ჭეიშვილმა, რომელმაც გაჩვენათ, თუ როგორ კლებულობს წონაში საქონელი დანამების შედეგ, ან როგორ შეიძლება ერთსა და იმავე დროს სამ ადგილას სადილის ქამა?!.

* * *

მაგრამ, რა უნდა მოვთხოვოთ „შუამავლის“ წევრებს, როცა მათ არაფრით ჩამოუვარდებათ ოზურგეთის ქალაქს რჩეულნი, რომელთაგან ზოგიერთებს პარლამენტებშიც კი უმზადებენ ადგილს.

მოგეხსენებათ, რომ ოზურგეთის თვითმართველობა ცნობილი კრიზისის შემდეგ განახლდა და აირჩიეს ყველა ახლანდელი გამგეობის მოწინააღმდეგენი, როგორც დღევით ატყობინებდა თავის გაზეთს ერთი დამსწრე. მეტათ საინტერესოა მათი პირველი დებიუტი ქალაქის ინტერესების დაცვაში.

როგორც ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს, განახლებულ საბჭოს თავის მოქმედება მით დაუწყია, რომ გამგეობის მიერ მოხდენილი ვაჭრობა არ დაუმტკიცებია და 12 იანვარს ხელმეორეთ დაუნიშნავეთ ვაჭრობა, რომლის შედეგი გვაჩვენებს, თუ როგორ ვაჭრობენ ოზურგეთის მამები!

მოგვყავს სიტყვა-სიტყვით კორესპონდენტის წერილი: „ძველ უხმონებო გამგეობას იჯარით გაეცა: სასაკლაო, ბუტკები და სასწორი და ქალაქის განათება.

- 1) სასაკლაო 831 მან., ე. ი. შარშანდელზე 3 მან. მეტით (ყოფილა 828 მან.).
- 2) ბუტკები და სასწორი 908 მან., 77 მან. მეტათ (ყოფილა 831 მან.).
- 3) განათება პირველი რიგის (11“) ფარნების (რომელიც 80-მდე) 7 მანათათ და 80 კაპ. ხოლო უფრო მოზრდილებისა (30“) 11 მან. 69,5 კაპ. თითო. ახალმა ხმონებმა დაარღვიეს პირველი ტორგი და მოახდინეს მეორე 12 იანვარს. ფასებში ამნაირი ცვლილება მოხდა. 1) სასაკლაო არაფერ არ აიღო და ქალაქს დარჩა. 2) ბუტკები და სასწორი გაიცა 909 მანეთში ე. ი. მოიმატა 1 მანათი. 3) განათება პირველი რიგის ფარნებისა (11“) 8 მან. 45 კაპეიკი ე. ი. 65 კაპ. უფრო ძვირათ თითო ფარანი, რაც შეადგენს დაახლოვებით 60 მანათამდე. მეორე რიგის ფარნები (30) 11 მან. 93 კაპ. ე. ი. 23,5 კ. უფრო ძვირათ, რაც შეადგენს 7 მან. 20 კაპ; სულ კი ფარნების გაცემაში მეორე ტორგზე ქალაქმა წააგო 70 მანათამდე. ყოვე-

ლივე ეს ინტელიგენტთა კრებულმა ყინის მოსაკლავათ ჩაიდინა. სასაკლავო წარმოებაში რა ხარაღს ნახავს ევჯერ არ ითქმის“.

აი, ასეთია ამ ინტელიგენტთა კრებულის მოქმედება, რომელსაც განმარტება არ ესაქიროება. ეს ჩვენებური ანდაზით „დედამთილის ყინისთვის შვილის მოკვლა“ და ვნახოთ, რამდენათ შორს წავლენ ამ გზით ოზურგეთის პარლამენტის დებუტატები!..

სხვა-და-სხვა ამბები.

ქართული დრამატიული საზოგადოება ემხადება ჩვენი ნიჭიერი და საყვარელი არტისტის ვ. აბაშიძის საიუბალეო წარმოდგენის გასაწართავათ, რომელსაც შეუსრულდა სცენაზე მოღვაწეობის 25 წელი.

25 იანვრიდან დაიწყო მოქმედება თფილისის პოლიციისთან დაარსებულმა საადრესო სტოლმა.

იმავე დღეს შევიდა ძალაში მეფხოეთა ინსტრუქცია. მეფხოეებს დაუბრუნდათ რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე დაბეჭდილი მათი საშახურის წესრიგის დებულება, რომელიც დაწერილებით უნდა შეისწავლონ და აღასრულონ მათ.

ქალაქის საფინანსო კომისიამ მეორეთ უარყო ქალაქის ხარჯით საადრესო სტოლის დაარსება, რადგან მათი გამოანგარიშებით შემოსავალი ხარჯს ვერ დაფარავს.

თფილისის საბჭომ მიიღო საგანგებოთ არჩეული კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი ნ. ე. ზუბალაშვილის სახელობაზე ღარიბთა თავშესაფარის აგების შესახებ, რომლისთვისაც განსვენებულ ზუბალაშვილის მიერ ნაანდერძევიანა 375 ათასი მანათი. ამ პროექტით სახლი დაუჯდებათ 100 ათას მანათამდე, დანარჩენი ფულის სარგებლობით კი, რომელსაც მიემატება ორი წლის სარგებელიც (კომისიის აზრით, სახლის აშენებას ორი წელიწადი მოუწდება) თავშესაფარში შეინახება 30—60 უმწეო.

დღეს გაიხსნება ჩუღურეთში საკვირაო სკოლა.

22 იანვარს მოხდა სამეურნეო საზოგ. კრება, რომელმაც სხვათა შორის მიიღო და დაამტკიცა საბჭოს შემდეგი წინადადება: საბაღოსნო სკოლის გამკეთ მოწვეულ იქნეს ბ. ივანოვი, რომელსაც საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი დაუსრულებია. მიიღო თავზე შუამდგომლობა, რომ დაჯილდოებულ იქნენ სახელმწიფო ღებრით ადელხანოვი (ტყავის წარმოება) დ. ზ. სარაჯიშვილი და სხვ. აირჩია მუღბევი წევრათ ზავაროვი და საპატიოთ: ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კოვალევსკი, პრრფესორება დოკუჩაევი და ვ. პეტრიაშვილი, აგრონომი ხოჯაევი და ი. წინამძღვარიშვილი.

როგორც „Журналъ Министерства Юстици“ იუწყება სასამართლოთა წესდების პროექტი ამ მოკლე ხანში წარედგინება სახელმწიფო საბჭოს. სხვათა შორის მოელოან, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შემოღებულ იქნება ყუბანის ოლქში და შავი ზღვის გუბერნიამში.

ბეტერბურგში შეწყდა, საზოგადოებრივი მოღვაწეთის «Россиа»-ს გამოცემა 13 იანვრიდან.

ქუთაისის საბჭოს გადაუწყვეტია ქალაქის პირველდაწყებითი სკოლა გადაკეთდეს საქალაქო სასწავლებლათ და ამ მიზნით ხარჯში შეუტანია 1600 მან. მეტი წინაწლებზე.

მოსკოვიდან გეტყობინებენ, რომ იქაურ ქართველებს განუზრახავთ «ქართველ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოების» დაარსება. პროექტი უკვე შეუშუშევიდათ და ამ დღეებში წარადგენენ დასამტკიცებლათ.

თ-ლი ანდრონიკაშვილი საგუბერნიო ადმინისტრაციამ დაამტკიცა ბათომის მიუტრავათ.

ბათომიდან გვწერენ, რომ იქაური ქართული სკოლის სასარგებლოთ გამართულა საღაპოდან დარჩენიათ წმიდა შემოსავალი 1375 მან.

„ცნობის ფურ.“-ს ატყობინებენ სიღნაღის მაზრიდან, რომ იქ მინდვრის თავეები გაჩენილან.

ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის მომავალმა წლიურმა კრებამ, როგორც „Н. 06.“ გაუგია, უნდა განიხილოს კიოხვა ამ ბანკის მოსამსახურეთათვის პენსიების შემოღების შესახებ.

ბაქოს საკრედიტო საზოგადოების მოსამსახურეთაც შეუდგენიათ პროექტი შეწახველ-გამმესხებელი კასის დასაარსებლათ. (Н. 06.)

შაბათს, 19 იანვარს, სახალხო წარმოდგენების სადგომში ქართული სცენის მოყვარეთ, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტების ჩერქეზიშვილისა, ლეჟავასი, ყიფიანისა, სვიმონიძისა და ურუშაძის მონაწილეობით, წარმოადგინეს ფრანგულიდან ნათარგმნი კომედია «პარიჟს ბაქი». წარმოდგენის შემდეგ გაიმართა კონცერტი; ქართულ მგალობელთა გუნდმა შეასრულა რამდენიმე სიმღერა; თავ. ი. ბარათაშვილმა რომანსით «შვენიერთა ხელმწიფავ» და «შენ გეტრთა მარად»-ის მღერით ხალხი აღტაცებაში მოიყვანა; კ. ჯაფარიძემ თავისი ნათარგმნი ლექსი „ბუღა“ ისე გრძნობიერათ და მოხდენილათ წაიკითხა, რომ აღტაცებულმა ხალხმა ტაშის ცემით გამოიწვია რამდენჯერმე და სხვა ლექსებიც წაიკითხა. კარგათ წაიკითხა აგრეთვე თავისი ლექსები ი. ევდოშვილმა. ბ-ნმა გოცირიძემ სახუმარო კუბლეტების მღერით და ურუშაძემ იმერული სცენების შესრულებით ბევრი აცინა ხალხი. საზოგადოთ კონცერტმა ხალხზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ხალხი დიდძალი დაესწრო; უადგილობისა გამო ბევრი უკანვე დაბრუნდა. («ცნ. ფურც.»).

კორექსიონ დენციები
ბათომი. ბათომის საბჭოს 21 ამ თვის მორიგ სესიონამაზე ერთხელ გადგო ნათლათ დაკვივჯა თჯაწინ ქალაქის თავის მოადგილის ბ-ნ ივანოვის ის „გუგუმოდგინება“ ქალაქის ინტერესებისადმი, რად მან ამ თვის 10-ს ქალაქის მოურავის აჩვენებზე დააკიცა.



21 ამ თვის კრებაზე, ქალაქის თავის მოადგილემ მოასსენა საბჭოს მთავარმართებლის მოწერილობა მამაკალის ნავთობის ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ. მოგვსენებათ სამინისტრომ გადაწყვიტა ნავთობის საუბრების უშიშარ ადგილებში გადატანა და ამგვარ ადგილათ, ამ საქმისთვის განსაკუთრებული კომისიის ახრის თანხმად, იცნო ბათუმის სამსრუთი ალაგი, სადაც რკინის გზის საქონლისა და მგზავრობის სადგურებიც უნდა იქნას გადატანილი. გადაწყვეტილია აგრეთვე სამინისტროსაგან, რომ მომავალი ნავთობის ქალაქი განათებული უნდა იქნას ელექტრონით და იქ უნდა იყოს მედიკ ტრენლის მქრობელი რაზმი. მთავარმართებელი თხოვდა ქალაქის თავის მოადგილეს, რომ ის შეეითხებოდა საბჭოს: იგისრებდა თუ არა ქალაქი ნავთობის ქალაქის ელექტრონით განათებას. მართლდა მოწერილობაში ისე გატკორიულათ არ უოფილათ ეს კითხვა დასტამბული, მანა მისი შენახისი ვა სწორეთ ეს იყო ბნმა ივანოვმა ვი ეს ამგვართ მოასსენა კრებას: მოგვივიდა მოწერილობა, რომლის ძალითაც ნავთობის ქალაქი განათებულ უნდა იქნეს ელექტრონით და სასამ ეს შესრულდებოდეს, საჭიროა პრეპეტის შედგენა და მე ვთხოვ კრებას, რომ მან ნება მოგვცეს პრეპეტის შედგენა მივანდოთ ინვენტარ კარნეკსო. შეიძლება, ბ-ნ ივანოვის მოსსენებით, საბჭო შეცდომაში შესულიყო და ამით ქალაქს მოსკოდა თავზე ნავთობის ქალაქის ელექტრონით განათების ვაჯლებლება, რასაც 400,000 მანათი ჭირდება, თურმე, რომ გამკობის წევრს, ბ-ნ გრ. ვოლსკის, არ აესსნა კრებისათვის, თუ რაში იყო სქე. მოწერილობის წაკითხვით მან დაანახვა საბჭოს, რომ ნავთობის ქალაქის ელექტრონით განათებაზე ხარჯს გვთხოვენ და თუ ეს კითხვა ბ-ნ ივანოვის წინადადებას თანხმად გადაწყვიტეთ, ქალაქს 400,000 მან. ხარჯი დაელება, რის გაწევა, რასავიფიკაცია, მას არ ძალეძს და სული ამოხდება. თუ ვი სამინისტრო ნავთობის ქალაქის განათების ხარჯს იმ 1/5 კან. საკუთარ გადასახადის შემოსავლისაგან გადაწყვიტს, რაც მან ქალაქს უგვე ჩამოართვა, — მაშინ ვი ვივისრებთ ნავთობის ქალაქის განათებას. ბ-ნი ივანოვი ვი ამბობდა, რომ იმისათვის, რომ ნავთობის ქალაქის ელექტრონით განათების ხარჯი საფუთო გადასახადის შემოსავლისაგან მოგვცენ, ამიტომ საჭიროა მთავრობის წინაშე შეამდგომლობა ავლძრათ და ამ შეამდგომლობას პრეპეტი სჭირია. ამასე მოასსენეს, რა ვი სამინისტრომ გადაწყვიტა ნავთობის ქალაქის ელექტრონით განათება, ამიტომ რასაჭიროა შეამდგომლობა; ეს იგისრა სამინისტრომ და იმის ხარჯსაც თვით გამოიღებს. საბჭომ მიიღო ბ-ნ ვოლსკის წინადადება.

მოსსენდა აგრეთვე საბჭოს მთავარმართებლის მოწერილობა, რომლითაც საბჭოს კვითხებოდენ — შეიძლება ის თუ არა ნავთობის ქალაქში ტრენლის მქრობელ რაზმის შესახას, რომელსაც ერთხნობით 8000 მანეთი სჭირია და ყოველ წლიურათ ვი — 15.000. საბჭომ ამასე ურჩი განაცხადა, მან გადაწყვიტა, რომ ის მიიღებს ამ ხარჯს თავის თავზე იმ შემთსევაში, თუ სამინისტრო საფუთო გადასახადის შემოსავლისაგან გადადებს ამ ხარჯის დასაკუფოფილებულ თახსას.

დ. ხონი. მეტათ სამწესროს აქაური ნოქრების მდგომარეობა. მათთვის საქმი და უქმი გაწორებულისა და იმდენი თავისუფალი დროც ვი არა აქეთ, რომ სამეითსეველოში იარონ. კვირობითაც ვი ვერც ერთ ნოქარს იქ ვერ შესელებით. ისინი მუდამ დასლში ყუთ ჩამწვედუელი და

არამც თუ უშეებენ ან ეკლესიაში წირვას მოსსენათ და ან სამეითსეველოში, არამედ გასკელის ნებას დასსენათ. საზოგადოთ ქალაქებში და დაბებში დექსები, ვარდა სამეითსეველო და თურნებისა, ივეტება კვირა და სსვა საზოგადოთ უქმე დლებში დილის 9 საათიდან 1 საათამდე მანც, მაგრამ სონის ვაჭრებისთვის, როგორც ვსედავთ, კვირა და ორმბათი სეფერთია... დაკრავენ წარებს ეკლესიაში თუ არა „დექენიებები“ და ასტყვენ და დაიფვირებენ სმა მდლსა „ზაზიარა“ (ქეხებში), ნოქრები აღის ბრძანებით გამოვლენ გარეთ და მისურავენ დარაბებს. ჩიარს „დექენივი“ თუ არა, აღა უბრძანებს თავის ნოქარს, გამოადოს ცოტათ დაჩაბა, ჩადგეს დასლში და უძისოს გამეფელ-გამომეფელ მუშტრებს. შემდეგ თვით აღა მობრძანდება საჭირო იყო ეკლესიაში, ნოქარი ვი რჩება დასლში ჩამწვედუელი და ველარ შორდება დექანს. დიდათ სასურველი და საჭიროა რომ აისთახა მოვლენას მიქცეველს ყურადღებას ადგილობრივი მთავრობა, დააკეტენ ბდეს ვაჭრებს დექანს რამდენიმე საათით მანც კვირა დლებში და ამით მიცემდენ ცოტადენ თავისუფალ დროს ნოქრებს მათი სეფიერა და გონებრივი მოთხოვნების დასაკუფოფილებლათ.

ს. სოფხანაშვილი.

ს. შორაპანი, (ზემო იმერეთი). ამ რამდენიმე წლის წინეთ შორაპანი ერთ უბრალო საფუთო ირცხებოდა, მისი მიფრუებული მიდამო აჩავისათვის იყო საინტერესო და არც აჩავის ყურადღებას იქცედა; მაგრამ ცხოვრებამ მისგანაც იბრუნა პირი, თითქმის მის საკეთილდღეოთაც წადმა შემოტრიალდა ჩარბი. ეს ის დროა, როცა ჭიათურის შავიქვის მიწვევლობა დრმა განვითარებას თხოვლობდა და რომ მეტათ გაფართოებულყო მისი სფერა მიუცილებლათ საჭირო იყო, რომ ჭიათურაში რკინის გზას ამოყუთ თავი. ასეც მოხდა, შორაპანი შეუერთდა რკინის გზით ჭიათურას, აქ პირველათ მიავიღეს მანქანამ, რაიცა დიდ სასახარელო მოვლენათ ჩაითვალა ყველასათვის. ამის შემდეგ დაეცა შავი ქვის დიდ რკინის გზამდე გადატანის ძეგლი ფორმა; (რაც მამაპაპური ხარ-ურმით სრულდებოდა) და ასლს გადატანა რკინის გზას გადაეცა, აქ შორაპანმაც დაკრავა ძეგლი ელფერი, მოასტყდა მრავალი მეშა სალსა, შენდება ვეპერთეულა სასლები სსვა-და-სსვა ვერას მოსელოთათვის, თავი იჩინა ვაჭრობამაც, მცხოვრებლები უსლოვლებიან რკინის გზას; აქ ძეგლი მეუდროების მაგიურ თქვენ სედავთ დაფსრომელ მოძრობას. წინეთ თუ სდუმდა შორაპანი დღეს სმაურობს, ვაცოცსლდა მისი არემარე, დღეს აქ ცხოვრება, ვესმისთ გრგვინვა და სედავთ აქ ადამიანთა გამწვაებულ ბრძოლას არსებობისათვის. მეტე ვინ არიან ეს ადამიანები რომელთა რიცხვა ათობით და ასობით ტრიალებს შორაპანში? ესენი განსლავან სსვა-და-სსვა ვუთსადან მოსელნი ლეკმა პურის მოსაპობებლათ. დააკვირდით ამათ ცხოვრებას, გაიგეთ დასსლოვებით მათი ყოფა-მდგომარეობა. უფურეთ მეშაობას და დამუთახსმებით, რომ ვაგიღვიძებს სიბრალელის ვრძნობას. როგორც შევიტყუეთ, ძლიერ ცუდათ ვმურბობინ მეშებს უფროსი სედა-მსედელები, რომელთა სელშია მეშების მიღება და დათხოვნა. რადგან სამეშაოში ჩარცხვა განეღდა (მეშა სელი იაფია — ბუკრია, მოთხოვნილება ნაკლები) „უფეშქაშოთ“ ამიტომ დაედა მას ფასი, ვამდიურდა მისი მოთხოვნილება. დოქითა და ჩაფით ღვინის სიღვა, ანუ ქათმას თუ სსვა. (ამათახეებს ვისრულდენ სლო მცხოვრები მეშები) ფუელის მიღების დროს

საერთო დახატულება და «პატუისცემა» აი „ფეშქაში“...

შორაზნის ინტელიგენცია უმთავრესათ რეინის გზის უფროს მოსკელთაგან შედგება, რომელიც სამწუხაროთ ძალიან ცოტას შრომობს თავით მოძიეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას...

ვ. ჩინლაძე:

ს. აცანა (გური). 1902 წელს, 3 იანვარს, აჭარაში წიგნთ-საცავ-სამკითხველს გზებას დაეწყო სულ ათი კაცი. უნდა განესიღათ სამკითხველს ანგარიში დაარსებიდან. სამკითხველს პირველათ ბ. გრ. ურატაძე განაგებდა, შემდეგ ჩხაიძე და ბოლოს ლ. ჩიმაკაძე. ბ. ურატაძის დროს სამკითხველს შემოსავალი ქონია 74 მან. 31 კაპ. გასავალი კი 65 მან. 80 კაპ. ბ. ურატაძეს, როგორც მისი ანგარიშიდან ჩანს დაეღვა სამკითხველს კალი 8 მან. 51 კაპ. ბ. არონ ჩხაიძის წარმოდგენილი ანგარიშით მის დროს შემოსავალი ყოფილა 60 მან. 41 კაპ.; გასავალი 64 მან. და 29 კაპ. ასე რომ არონ ჩხაიძეს თავის ვიბიდან დაუსრულავს 3 მან. 88 კაპ. ბ. ჩხაიძეს სამკითხველს და ანგარიში, ბ. ლონგინოზ ჩიმაკაძისთვის გადაუცია, რომელიც დღესაც განაგებს მას... ჩიმაკაძის დროს, სამკითხველს შემოსავალი ქონებია 49 მ. 85 კაპ. და გასავალი 45 მან. 58 კაპ. წიგნების ანგარიში კი მეტათ არეულ-დაბრუნდა ვერც ერთმა გამოემ ვერც კითხვას რამდენი წიგნი აქვს სამკითხველს. არ არის წიგნების სია, მხოლოდ ბ. ურატაძემ განაცხადა, რომ მან ბ. ჩხაიძეს ჩააბარა 424 წიგნი. მაგრამ ეს ანგარიში სიტყვიერი ყოფილა, როგორც ჩხაიძემ განმარტა. ასე რომ დღეს არავინ იცის რამდენი წიგნი არის სამკითხველში. არც ის ვიცით თუ როგორაა ნაწარმოები ანგარიშები. ამიტომ კრებამ დააკლას ახლანდელ გამკეს სიის შედგენა და ანგარიშების რევიზიით განსამართლებელი საბუთებით წარმოდგენა. რადგან სამკითხველს გასულ წელს მეტეს ნაწილათ დაკავილი იყო და ვერავინ საჩუკებლობდა მით, კრებამ საჭიროთ დაინახა კაცის დაქირავება რისთვისაც 40 მან. გადაიღო.

ჭ.

რუსეთის ცხოვრება.

სახელმწიფო სათავად-ახნაურს ბახვის 1900 წლის ანგარიშიდან ჩანს, რომ ბახვის დაარსებიდან (1885 წ.) სულ ყოფილა მასში დაგირავებული 21.474 მამული, სივრცით 17.136.538 დესიატინა, დაფასებული 1.132.333.995 მან. გაუცნაო სესხათ 648.469.100 მან. 1901 წ-სთვის მამულების პატრონებსე ყოფილა სავადო გარდასახადიდან დაჩენილი შესატანი («ხელმძღვა») 24,474,564 მან. ხანგარშიმ წელს ბახვის წმინდა მოკება ყოფილა — 2.604.115 მ.

«მოსკოვ. კვლემა.» იუწყება, რომ 20 დეკემბერს სამსახურიდან დაითხოვეს ფინლიანდიის სადამოყენო უწყების დირექტორი ვინტერი, სპეციალურათ უწყების დირექტორი გრიზენბერგი და ახლს პოლიცემისტური ბარონი ამინოვი. სსენებულ პირთ მონაწილეობა მიუღიათ ზოგაერთ დემონსტრაციებში. გარდა ამისა, ვინტერის დროს სსვდგარ-გარეთიდან დიდძალი რეკოლეფიციონური წიგნები, ბროშიურები, სურათები და სსვა ამგვარი ანა ლეგალური თსხულებანი მოდიოდა და სადამოყენო უწყება მათ არ აგაგებდა, ხოლო სადამოყენო უწყების

ბის მოსკელნი სელს უწყობდენ მათ გაკრეკლებას სსლსში.

«სასაღსო კითხვათა გამართულინი ძალიან შეწყვეტილი ბუღის არიან იმით, რომ მეტათ მცირეა მისი და შინაჩსითაც უგარგისნი არიან, რომელთა წავითხვანება დართულია. ასლა, როგორც «ნოვ. ვრ.» იტუობინება, საერთო გასათლების სამინისტროს განუზრახავს სება დართოს, რომ სასაღსო აუდიტორებში იკითხონ უველა ის წიგნები; რომელნიც ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში აქვთ.

«პეტერბურგის გასუთების სიტყვიით, კბრალთა ერთერთ განმანათლებელ საზოგადოებას განუზრახავს დაარსოს რუსეთში უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი იმ კბრალთათვის, რომელთაც არ იღებენ სასწავლებლებში. ამის გამო მთავრობის წინაშე მალე შეამდგომლობა იქნება აღძრული.

«მოსკოვის საგუბერნიო კრებაში აღძრულია კითხვა, რომ სასაღსო კითხვების ხაქმე მოწყისრიგდეს და ამასთანავე მასრებში დაწესდეს სასაღსო კითხვათა გამკის თანამდებობა.

ს ა ზ ლ ვ ა რ ო ვ ა რ ე თ .

პირამენია. პარლამენტმა სამი სსდომი მოანდომა იმის გამოკვლევას, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული ამჟამათ უსაქმით დაჩენილ მეშუბის დასახმარებლათ. ამის გამო დეპუტატმა ცრუბელმა შემდეგი წინადადებანი წარუდგინა პარლამენტს: დაარსდეს მეშათა დამჭირავებული ბიურო, სამუშაო დრო შემცირდეს ათ სსათამდე, და შემოღებულ იქმნას მეშათა დაზღვევა უსაქმით დაჩენისათვის. ამ წინადადებას კრასნიმე მიემხრო როგორც კლერკალთა, ისე კონსერვატორთა და ლიბერალთა პარტია. მაგრამ უველასე სინისტრესის კლერკალთა წარმომადგენელ დეპუტატის გიტკეს აზრი უსაქმით დაჩენილ მეშათა დასახმარებლათ შესახებ: თემცაწინდელი კრიზისი, თქვა მან, თავისი სამეცრით ბუკრით ჩამოუვარდება წინანდელ კრიზისებს, მაგრამ მაინც და მაინც უფრო მეტი დასახმარება სჭირათ დღეს უსაქმით დაჩენილთ, ვიდრე საზოგადო ქვედმოქმდება გაუწყეს მათო.

გიტკემ ამასთანავე გაისახა ისიც თუ რამდენათ შეცვალა უგანსკენელ 30 წლის განმავლობაში სოციალური აზრები გერმანიაში. 1873 წელში კრასის გამო რეინსტატში შეტანილი იყო კითხვა: «როგორ გამოვიდენ ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან?» და იცით ამასე რა უნასუნს მთავრობამ? „შეუძირეთ მეშებს სამუშაო ფასი!“ განა ასლა მომზოვება და გერმანიაში თუნდ ერთი მინისტრი მაინც, რომ ამისთანა სასაცილო რჩევა წარმოუდგინოს პარლამენტო“ დაათავა მან.

ივზლინი. პარლამენტმა ორი დღე მოანდომა აღრესის შესწორებას. ირლანდიელის მსრით ილანარაკა დეპუტატმა რედმონდმა და სსვათა შორის დასახსიათა ინგლისის მთავრობის მიერ შემოღებული გამდებებული დაცვის წესები ირლანდიაში. რამ გამოიწვია ასეთი ადმინისტრაციული ზომების მიღება ინგლისის მსრით? გაზ. «ტაიმისი» აზრითო, თქვა ორატორმა, ამისთანა წესების შემოღების მიზეზი თვით ირლანდიის აწინდელ სიწყინარებაა. ეს აწინდელი „მშვიდობიანობა“ ირლანდიისა ნიშნავს იმას, რომ ირლანდიის ლიგას სულში უჭირავს დღეს ტრორისტიკები და როდესაც მოისურვებს მასში მიუხევეს სახელმწიფოსო. „მთავრობა მათ, განგვრძობს რედმონდი, ვგრძალა სიტყვის თავისუფლება. ინგლისის ცისეში ამ ჟამათ 40 კაცი ზის მიტინგებში მონაწილეობის გამო. ამავ მთავრობის დესპოტიზმის გამო ივლო ირლანდიის მცხოვრებულთა რიცხემა, დაეცა ადგილობრივი მრე-

წველობა, უგადურესობაშია გადაჭრება საღისი, მას შეებღავა უბრალო ელემენტარული უფლებანი მოქალაქისა. მთავრობა მუშობს დღეს საღისის სურვილით ვი არა, არამედ ძალით, თავისუფლების შეზღუდვით, პოლიციური მითრებით ცისებობით, კმაყოფილებით და შვიონების რაზმით. ასლას ასი წლის მტარვალობის შემდეგ ამ მთავრობამ ანგარიში უნდა გაეწიოს საღისის მისდაში წაღეს. ამისთანა მთავრობას არა აქვს სწავლობა ვი უფლება არსებობისა. ვიტყვი მეტს: ბრძოლა მის წინააღმდეგ, — მოქალაქეთა მოვალეობაა; ამბახება მის წინააღმდეგ — ეს შეძთხვევის კითხვაა!».

საზრუნველობა. მთა-მადნის მუშათა ფედერაციის მდივანმა მიმართა სოციალისტთა პარტიის მდივანს დეკუს წერილით და ატყობინებს, რომ ფედერაცია სრულყოფით ეთანხმება მის მიერ პარლამენტში წარდგენილ მოთხოვნას და ყოველ დონისძიებას ისმარს ამ მოთხოვნის აღსრულებაში მოსაყვანათ. „ფედერაცია ფიქრობს, ნათქვამია წერილში, რომ მან ბუკრი დაუთმო რესპუბლიკას და ასლას ვი დადგა დრო მასთან გასწორებისა. დროა პარლამენტმა გავაკვირინოს რა სწავიან ბრძოლა თუ მშვიდობა“. ეჭვი არ არის ეს წერილი იყო მასეში იმისა რომ პარლამენტი ანქარდა ქვა-მადნის მუშათა შესახებ პარლამენტის განსაღვას. და თუკესმეტ ინჯარს უკვე წარდგენილ იქმნა პარლამენტი პარლამენტის კომისიის მიერ მიღებული პარლამენტი რვა საათის სამუშაო დღის შესახებ. პარლამენტმა გადაწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ კითხვის განხილვას.

სამხრეთ-აზრიკა ჭოლანდიის შუამავლობა ინგლის-ტრანსვაალის შორის მშვიდობიანობის ჩამოკლების შესახებ, როგორც ვიცით ვერ დახლოვდა სასურველათ. უკანასკნელი დებუებიდან ვტყობილობთ, რომ ჭოლანდიის მთავრობისაგან ინგლისისადმი მიწერილ ცნობებში უწინარეს ყოველის აღნიშნულად სრულიად განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელშია აც ბურები იყოფიან: ისინი მომორბეული არიან მთელ ქვეყანას; კერძაში ბურების წარმომადგენლებს არ შეუძლიათ დამოკიდებულება იქონიონ ბურების გესურებთან, მათი რწმუნების ქაღაღები, რომლებიც 1900 წელს მარტშია მიცემული, მეტად შესწავლილია; კითხვა იბადება: ნუ თუ არ შეუძლია ნეიტრალურ სასულმწიფოს, გაკრიოს ამ საქმეში სასაკეთო დასმარებით, რომ ორივე მხრის რწმუნებულ პირთ შეკლეთ ერთმანეთთან პირისპირ მოლაპარაკება. როგორც ჩანს, ნიდერლანდიის მთავრობას ესურსება დასმარება გაეწიოს ჭოლანდიისაში მუოვ წარმომადგენლებს, იმას შეუძლო ეჩინა მითვის, სამხრეთ-აფრიკაში წასულაეენენ, ბურების ადგილობრივ საზღვართან მოლაპარაკებათ და დაბრუნებულაეენენ უფრო ვრცელი მონღობილობით, რომელითაც შესაძლებელი იქნებოდა სამშვიდობო მოლაპარაკება. თუ რომ წარმომადგენლები თანახმანი არიან, იმათი თავისუფალი მოტარება უსრუნველყოფილი უნდა იყოს, ნება უნდა ქონდეთ, ტელეგრაფით მოლაპარაკონ ბურებას საზღვრებს და პირება დადგან, სად უნდა ეშხედენ ერთმანეთს.

ინგლისის მთავრობის პასუხში ჭოლანდიის მთავრობისადმი აღნიშნულია სიმართლე ვაცთ მოყვარეობისა, რომელიც ისტება ჭოლანდიის წინადადებაში, რომელიც არც ბურების წარმომადგენლებისაგან იყო დავალებული, არც ბურთა საზღვრებისაგან, სოლო მტკიცება გადაწყვეტილება, რომ უცხო სასულმწიფო არ გაკრიოს ამ საქმეში. თუ რომ ბურების წარმომადგენლები მონღობებდნენ, შეკლეთ თავისუფლათ წასულა, ინგლისის მთავრობა ამის გამო იმ გადაწყვე-

ტილებას დაადგება, როგორც შეთანხმება დასაბურებულს შეამდგომლობას; მთავრობას არ გონია, რა მოქალაქეებზე გაეკუნა ქქანდესთ აფრიკაში მებრძოლ ბურებზე. უსრუნველად არის ბურებს მთავრობენ შტეინი და შალე-ბურგერი, ამიტომ შეთანხმების საუკეთესო საშუალებათ იქნება პირდაპირი მოლაპარაკება ბურების საზღვრების და გიხენურის შორის; უკანასკნელს კიდევაც გაეკუნა ბრძანება, დაუყოვნებლივ ცნობას მთავრობას, თუ ბურები მოისურვებენ მოლაპარაკებას. თუ ბურები მოისურვებენ ომის გათავების შესახებ მოლაპარაკებას, ეს მოლაპარაკება უნდა მოხდეს აფრიკაში და არა ეროპაში. დალეკტების წასულა ვი გაავრძელებს ომს საშითვით მინც.

ლოტტერისა და შუბრისის სიკვდილით დასჯას კამის ასლშენელები ძალიან აუღალებია. ძალიან რომ აღელებათ მთელ კამის ასლშენს მოედება. ასლშენელები ასობით უერთდებიან ბურებს. ამიტაც ვი ბურების მსარი დაიჭირეს ასლას, ვინც წინეთ ინგლისელებს თანაუგრძნობდა. გააკამი ატყობინებენ ინგლისელების დამარცხების ამბებს. ეს ამბები ლორდ კიტინერს არ უცნობია თურხე თავისის მთავრობისათვის. ამას გარდა ბურების წინამძღოლთ განუხრასავთ მთელის სასმრეთ-აფრიკის გაერთიანება და ერთი სასლმწიფოს შექმნა ამ სასლმწიფოში შეკლენ ტრანსვაალ-ოჩანქე, კამის ასლშენი, ნატალი და სსკანი. წინამძღოლთ მოლაპარაკება უკვე დაწყიათ ასლშენელებთან. თუ ეს ამბავი გამართლდა, ინგლისელებს მამინ მთელ სამხრეთ-აფრიკის მცხოვრებლებთან ქქებათ საქმე და არა მარტო ბურებთან.


მისივე ბრალი.

(ივ. ფრანკოსი. — რუსუდიანს).

(გავრძელება. — იხ. № 4).

III.

ამ ამბის შემდეგ ერთმა წელიწადმა გაიარა. დადგა ზაფხული. — მოკრიალებული ციდან მზე უნვით ფენდა თავის მწვავე სხივებს მაღალ მთებს, მწვანით შემოსილ ქაობებს და მდინარე სვირაზე ვაკეთებულ ორთქლის სახერხავ ქარხნის შენობებს. სვირა ღრიალებს, გაშმაგებული ეჯახება ქვა-კლდეს და იფანტება პატარ-პატარა წინწყლებათ. მთებზე მოჩანს ნისლში განხვეული ნაძვის ტყე. დაბლიდან იყურება სახერხავი ქარხანა, რომელიც ყოველი კუთხით შემოღობილია მწყობრათ ერთი მეორეზე დალაგებული ნალოებით. წითლათ შეღებილი გრძელი მილიდან კვამლი ამოდის; მანქანა განუწყვეტლივ სტვენს. ქარხანიდან მოისმის საშინელი ხმაურობა: მანქანის რიხრიხი, გუგუნე, მდინარის გაშმაგებული ღრიალი, მუშების ყვირილი სულ ერთმანეთში არის არეული. შორს მთიდან აქა-იქ მოისმის ცულის კაკუნის ხმა, უზარმაზარი ხეები ძირს გრილით ეცემიან. ყოველ ხის დაცემაზე მუშები ერთხმით დასძახებენ „ურას“ და მერე ისევ განაგრძობენ მუშაობას. ხეება აცლიან შტოებს და მთის წვერიდან აგდებენ ძირს მდინარეში, რომელსაც ხეები პირდაპირ ქარხანაში მიაქვს. ყოველ დღე სხვა-და-სხვა მხრიდან მოისმის კაკუნე და ყვირილი, ყოველ დღე ასობით იჭრება უზარმაზარი ნაძვის ხეები, მოტიტვლებული კლდე-ღრიდან ლაწა-ლუ-



წით ეშვებთან ძირს და იქ უცდიან დროს, რომ რიგ-რიგათ დაეწყონ და შეუბრალებლათ გაიხერხონ მანქანის ბასრი კბილებით.

ამ ნაირათ, მუდამ დღე თოთხმეტი მომართული ხერხი, თითქო თოთხმეტი დაუღალავი ქა, ღრღნის ნაძვის ხეებს.

აგერ ერთი წელიწადი იქნება, რაც სხვებთან ერთათ მუშაობს ჩვენი მიკოლა.

ის წინანდელზე უფრო ჩამომხმარა და გატეხილა, მარა დღეს ისეთი ენერგიით და თავგანწირულებით იქნევს ცუტს, რომ კაცს ეგონება, ეს ნაძვის ხე სწორეთ მისი მოსისხლე მტერი არისო.

„დღეს ხომ უკანასკნელათ ვიქნევ ამ ცუტს,—ფიქრობდა მიკოლა,—დღეს ხომ უკანასკნელია ჩემი აქ მუშაობა.

მართლაც და, მიკოლა დღეს დიდი ბედნიერია: უბეში, საიმედო ალაგას, მას შენახული აქვს მწვარში გამოხვეული ერთი წლის განმავლობაში შეგროვილი 50 გულდენი.

40 გულდენს, ფიქრობს მიკოლა, მიუტან ურიას და გამოვიხსნი ჩემ ქონებას. დამჩება ათი გულდენი და ამ ფულს მოვახმარ ოჯახს. დღეს საღამოს მუშაობას გავათავებ და ხვალ სახლისკენ გავწევ.

მართლაც, მეორე დღეს, ირაჭრაჟა თუ არა, მიკოლა ადგა და შინისკენ გაემგზავრა.

ის მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით; ფიქრობდა მომავალზე და არ უნდოდა მოეგონებია წარსული ცხოვრება, რომელიც მხოლოთ ტანჯვითა და მწუხარებით იყო სავსე.

პირველ ყოვლისა ურიასთან მივალ—ფიქრობდა საწყალი გლეხი,—გამოვიყიდი სახლ-კარს და მერე წავალ ცოლთან. მივალ და ვეტყვი: წავიდეთ, მეგობარო, მოვიდა დრო ჩვენი ფეხზე დადგომისა!..

მიკოლა მიდიოდა სწრაფის ნაბიჯით და ტკბილი ოცნებით გატაცებული დაღალვას ვერა გრძნობდა.

მზე იწურებოდა, როდესაც მიკოლა თავის სოფელს მიუახლოვდა; იმან შორიდანვე მოკრა თვალი თავის ნახევრათ დანგრეულ ქოხს და გულმა სხვანაირათ დაუწყოცემა.

სოფლის განაპირას იყო მორდკას სამიკიტნო; მიკოლამ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და გულის კანკალით გასწია იქითკენ.

— საღამო მშვიდობისა, მორდკა,—შევიდა თუ არა სამიკიტნოში მიესალმა მიკოლა ურიას.

— ღმერთმა გაგიმარჯოს! ეს თქვენა ხართ, მიკოლა? აქამდინ სად იყავით, კარგა ხანია, რაც არ მინახებართ!

— სამუშაოთ ვიყავი,—უბასუხა მიკოლამ.

— გამეგონე, მორდკა, მე შენთან ერთი საქმე მაქვს.

— რა საქმე, თქვით.

მიკოლამ ამოიღო უბიდან მწვარი, გახსნა, ამოალაგა იქიდან 40 გულდენი და ურიას მიაწოდა.

— აი ეს ფული მიიღე და ჩემი სახლ-კარი დამიბრუნე.

— რაო, რაო?—დაიყვირა ურიამ და უკან დაიწია. 40 გულდენათ გინდა იყიდო სახლი და ადგილი? ხა, ხა, ხა!..

— ყიდვა კი არა, ჩემი საკუთრება მინდა დავიბრუნო...

— გინდა დაიბრუნო? მერე როგორ გნებავთ?

— როგორ და აი ასე: მე მოგცემ შენ 40 გულდენს, რომელიც მმართებს შენი, შენ კი დამიბრუნე ჩემი სახლ-კარი.

— ერიპა! შენ, მიკოლა, როგორც გეტყობა მეტის მეტათ დაქუიანებულხარ! მე და შენ ერთმანეთში ვერ მოვრიგდებით! ამ ადგილში მე 300 გულდენს შაძლევენ, მაგრამ 400-ზე ნაკლებს არ ვჯერდები, შენ კი 250 გულდენათ მოგცემ, თუ გინდა.

ეს სიტყვები საწყალ მიკოლას მენივით მოხვდა. ის იდგა გაშტერებული და ურიას მიჩერებოდა. მორდკას, როგორც ეტყობოდა, შეეშინდა, რადგანაც მეორე ოთახში გავიდა და კარები ჩაიკეტა.

ამ დროს სამიკიტნოში რამდენიმე მიკოლას ნაცნობი გლეხი იყო; ისინი შემოვხეიენ მიკოლას და, რაც შეიძლებოდა, ანუგეშებდენ, მაგრამ მიკოლა იდგა უძრავათ და გაშტერებული მიჩერებოდა იმ ადგილს, სადაც ერთი წუთის წინეთ მისი დამღუპველი ურია იდგა.

მიკოლა კარგა ხანს იდგა ასე გაშტერებული. მერე მიუბრუნდა იქ მყოფ გლეხებს და აკანკალებული ხმით უთხრა:

— ერთი გამაგებინეთ, თქვენი ჭირიმეთ, განა ეს შესაძლებელია!..

— ეჰ! რას იზამ, ჩემო ძმაო, უთხრა ერთმა გლეხმა; შენი სახლი და კარი ახლა ურის ხელში არის, კანონმა მას აკუთვნა.

— მაშ მე არავითარი უფლება აღარა მაქვს ჩემ საკუთრებაზე?

— არავითარი!

— მაშ ვერე...—აქ მიკოლამ ლაპარაკი ვეღარ შეძლო. გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო.

ცოტა ხნის შემდეგ მიკოლა მიუბრუნდა გლეხებს და უთხრა: გთხოვთ ეს ფული ჩემ ცოლს გადაცეთ, უთხარით, რომ მე მალე დავბრუნდები, მაგრამ იმის შესახებ, რაც დღეს აქ მოხდა, ნურაფერს ეტყვი.

— კარგი, კარგი!

მიკოლამ ქუდი ჩამოიფხატა და სამიკიტნოდან გარეთ გამოვიდა.

ჩამავალ მზის სხივებს წითლათ შეეღება მდინარე სვიჩა, რომელიც წითელი ზოლივით მიიკლაკნებოდა ვახვებით შემკულ დაცემულ ვაკეზე. მდინარე ჩქეფდა და ხმაურობდა, ვახვებში ბელურებს გაქონდათ თავისებური ჟივილ-ხივილი. მხოლოთ მიკოლა მიდიოდა ათასნაირი დარღითა და ვარამით გაბოროტებული.

IV.

იმ დროს განმავლობაში, რაც მიკოლამ მუშაობას თავი დაანება, ურია ნახა და გულ-დათუთქული უკანვე დაბრუნდა, ლიუდევიკოვკაში ერთი რამ მოხდა.

ერთ სამიკიტნოში, რომელიც შუაგულ მინდორში პარტოკა იდგა, ღამე ე-ღაც ბოროტმა აქმედებმა ამოწყვიტეს ერთი მოიჯარაღრის ოჯახობა.—გადარჩა მხოლოთ მოსამსახურე ბიჭი, რომელიც საღდაც კუნჭულში მიმალულყო. ბიჭი ლაპარაკობდა—მკვლელები ვერ ვიცანი და ვერც ის გავიგე, თუ რა ენაზე ლაპარაკობდენო. ექვი მიიტანეს ორ იტალიელზე, რომელნიც ლიუდევიკოვკაში მუშაობდენ. ისინი დაიჭირეს.

ამ იტალიელებს ძალიან ძნელი სამუშაო ქონდათ

აღებული. ერთი მთის წვერი, რომელიც ხშირის და საუკეთესო ხეებით იყო შემოსილი, ძალიან მოშორებით იყო მდინარეზე.

იმ სიმაღლიდან ხეების ჩამოშვება ყოველად შეუძლებელი იყო, რადგანაც ადგილი მთის წვეროდან მდინარემდის წარმოადგენდა შამხნარით შემოსილს, მიუვალ კლდედრეს. ბევრი იფიქრა ქარხანის დირექტორმა და ბოლოს ერთი საშუალება მოიგონა.

მთის წვეროდან გადმოჩქეფდა პატარა ნაკადული. იმ ადგილიდან, საიდანაც ნაკადული გადმოჩქეფდა, ქარხანამდის დირექტორმა გააკეთებია ღარი. მოქრილ ხეს, რომ უფრო ადვილათ წასრიალებულყო, კანს აცლიდენ და ისე უშვებდენ ღარში, მაგრამ რადგანაც მარტო წყლის ძალა არა კმაროდა, დაქირავებული იყო ორი კაცი, რომელთაც ხე ძირს უნდა ჩაეტანათ. ეს საქმე ამ ნაირათ კეთდებოდა: ცულის ჩასობდენ ხეში; მუშას ცულის ტარისთვის ხელი უნდა მოეკიდნა, შემდგარიყო ღარის კედლებზე და ხე ძირს წაეთრია. ყველა ეს ფრთხილათ, აუჩქარებლათ ხდებოდა, რადგანაც საკმარისი იყო მუშას ხელიდან გასხლტამოდა ცულის ტარი, ან ფეხი დასცურებოდა, რომ ის აუცილებლათ დაღუპულიყო.

ამიტომ ადგილობრივი მუშები არაფრის გულისთვის არ იღებდენ ამ სამუშაოს, მიუხედავად იმისა, რომ დირექტორი კარგ ხელფასს იძლეოდა: ორ გულდენს ღლეში. მხოლოდ ზემოხსენებულმა იტალიელებმა გაბედეს და სამი თვის განმავლობაში მართლაც რიგიანათ ასრულებდენ თავიანთ საქმეს.

სხვა მუშებს გული უსკდებოდათ, როდესაც მიჩერებოდნენ იტალიელებს, რომელნიც ჭიანჭველებივით თითქო ბეწვის ხიდზე დაცოცავდენ. მართალია, ღარის კედლებზე ფიცრები დაეჭვდათ, რომ უფრო გავადვილებიათ მუშებისთვის სიარული, მაგრამ ხიდან რომ ცული ამოვარდნილიყო, ფიცარი მაინც ვერ იხსნიდა მუშებს სიკვდილისაგან.

როდესაც მიკოლა დაბრუნდა, ორი დაპატიმრებული იტალიელის ადგილი თავისუფალი იყო. მიკოლა კანტორაში შევიდა და დირექტორს მოახსენა: „უფალო დირექტორო, მე უკანვე გიახელით და გთხოვთ რამე სამუშაო მომცეთ“.

— სამუშაო? კარგი, კარგი! აი, იტალიელების ადგილი განთავისუფლდა და, თუ გინდა, იმათ რომ სამუშაო ქონდათ, შენ აიღე. კარგ ქირას მოგცემ—2 გულდენს ღლეში. რას იტყვი?

მიკოლა დაფიქრდა. კარგათ იცოდა, თუ რა ძნელი და საშიში იყო ეს საქმე, მაგრამ რა ექნა!..—ბატონი ბრძანდებით, უფალო დირექტორო, მაგ საქმეს მე ავიღებ.

დირექტორი მეტათ გააოცა მიკოლას ამნაირმა გაბედულობამ და ხელმეორეთ შეეკითხა:

— შენ ბედავ მაგ საქმის აღებას?
— დიახ, ებედავ!

მეორე დღეს დილაზე ღართან ბევრი ხალხი შეგროვდა. ყველას უნდოდა დაენახა, რა ნაირათ შესრულებდა მიკოლა თავის ძნელ საქმეს. ტყიდან მოისმოდა ცულის ხმა, მუშების ყვირილი და მოქრილი ხეების ლაწალუწით წაქცევის ხმა. აი, ჩაადგეს ღარში კან გაცილი, თეთრი, ლაპლაპა ხე; აგერ მიკოლაც გამოვიდა, გადაიწერა პირჯვარი, მოკიდა ცულის ხელი, ამართა ხე-

ვით და, რაც ძალი და ღონე ქონდა, დაჰკრა ხეს. მერე შედგა ღარის ნაპირებზე და სიფრთხილით ხე ძირს წააქრია.

— ფრთხილათ, ფრთხილათ!—უყვიროდენ მას ქვევიდან.

მიკოლა ნელა, სიფრთხილით მიათრევდა ხეს, რომელიც ადგილიდან ადვილათ დაიძრა. აი, მიუხლოვდა ყველაზე უფრო საშიშ ალაგს, მისი სიცოცხლე ძაფზე ჰკიდა.

— ღმერთო! შენ მოუშართე ხელი, —ლაპარაკობდენ მუშები.

მიკოლა მიდიოდა ფრთხილათ და თვალს არ აშორებდა ცულის, რომელიც, თითქო მხეცის ბასრი კბილიაო, ჩარჭობოდა კან გაცილილ ლაპლაპა ხეს.

გარდა ხისა და ცულისა ის ვერაფერს ხედავდა. მიკოლას არ ეშინოდა, გრძობდა კი, რომ საკმარისია ცოტა ხანს ხეს თვალი მოაშოროს, რომ იმ წამსვე დაიღუპოს.

მაგრამ ეს რა მოსდის?.. ხელი უკანკალებს?.. ან ეგება ცული ძვრება ხიდან? მიკოლას თავზარი დაეცა, რადგანაც იგრძნო, რომ ცული სუსტათ იყო ჩასობილი და ამოვარდნას ცოტადა უკლდა. უნდოდა გაჩერებულიყო და ცული გაემაგრებინა, მაგრამ რალაც უცნაური ძალა მიათრევდა ძირისკენ... მიკოლამ ხეს თვალი მოაშორა, ძირს ჩაიხედა და იმ წამსვე თავბრუ დაესხა, თვალი დაუბნელდა, წატორტმანდა და უფსკრულისკენ გაექანა.

ზარდაცემული ხალხი გაიქცა იქითკენ, საითკენაც საწყალი მუშა გადავარდა.

— ღმერთო!.. — დაიღრიალეს მუშებმა, როდესაც მიკოლას დაფლეთილი გვამი დაინახეს.

დასაფლავეს მიკოლა მდინარე სეიჩას ნაპირას, მწვანითა და ყვავილებით შემოსილ შენაიერ ქალაში. ჩქეფს და გაშმაგებული ღრიალებს სეიჩა, თითქო გული მოსდის, რომ მკვდარი მას არ დაანებეს.

გარეშემო მალალი მთები დაღონებულნი მიჩერებიან მწვანით შემოსილ პატარა საფლავს და უზარმაზარ ქარხნის შენობებს.

თხილნარადან გამოისმის გუგულის ხმა, თითქო ეკითხება: „აქ ვინ არის, აქ ვინ არისო!“

ამ კითხვაზე გულყვითელა ჩიტი უპასუხებს: „უბედურია, უბედურია!“

მხოლოდ ქრელი ჩხიკვი გესლიანათ გადმოსჩხავის ნაძვიდან:

„მისივე ბრალია, მისივე ბრალია!“

კ. ჯაფარიძე.

წერილი ბელგიიდან.

ინტერპელაცია სამხრეთ-აფრიკის სამხედრო ბანკების შესახებ.— ს. თ. ს. უ-ის გამო.—ქალთა საარჩევნო უფლება.

(დასასრული— იხ. № 4)

ლიბერალები, რასაკვირველია, გულ-დასმით ეძებენ ყოველგვარ საბუთებსა და საბაბებს, რომ გაამართლონ თავიანთი სილაჩრე და ჩამოშორდენ სრულ პოლიტიკურ თანასწორობისათვის ატეხილ ბრძოლას. კარგი ხელ-ჩასაკედებელი საბაბი მიცა მათ მათმავე საიდუმლო მეგობრებმა კლერიკალებმა. რამდენიმე თვეა, ეს უკანასკნელნი, რო-

გორც პოლიტიკურ წრეებში, ისე კრებებზე და პრესაში ავრცელებენ ხმას, რომ იგინი აუცილებელ პირობათ დადებენ, რომ საარჩევნო უფლება კაცებთან ერთათ მიენიჭოს ქალებსაც. ამ ამბავმა დიდი მიტქმა-მოთქმა გამოიწვია; ალაპარაკა საზოგადოება და შეაჩოქო პოლიტიკური პარტიები. ბულვარულმა პრესამაც, რასაკვირველია, მომართა ქამანჩა და ყოველ დღე აცხობდა „პიკანტნი“ ფელეტონებს, დაახლოვებით ასეთი შინაარსისას: ქალი, გუშინდელი დიასახლისი და დღეს კი დებუტატი თავ-გადაგლეჯილი შემოდის სახლში; კარებთან ეგებება ქმარი; ხელში უჭირავს ჭუძუთაბავში, რომელიც საშინლათ ჩნავის; — ცოლი: ოჰ, ვერ წამოიდგენ, ჩემო კარგო, რა ცხარე კამათი, რა საშინელი ბრძოლა გვქონდა დღეს პარლამენტში; მე შესანიშნავი სიტყვა წარმოვეთქვი; მთელ წელიწადს გახეთები ჩემზე ილაპარაკებენ... — ქმარი: მოიცადე, რა დროს ვგ არის, მოხედე ბავშვს, უყავი რამე, დააჩუმე. ამისმა ბლავილმა ლამის ჰკვავზე შემშალოს... — ცოლი: წაიყვა იქით, რა მებავშვება, ხვალისათვის ინტერპელაციას ვამზადებ; სადილი ხომ კარგათ მოამზადე; მარილი ხომ არ დაგვიწყებია? — ქმარი: სართავი კი არა ჯანაბა! ხომ იცი მე სამზარეულოსი არაფერი გამეგება, მე არაფერი მომიმზადებია, დღეს უსადილონი ვიქნებითო და სხ. დღეს ამ გვარ ოხუნჯობას, რასაკვირველია, ნაკლები ფასი აქვს. სხვა არა იყოს რა, ის მაინც ყველასათვის ცხადია, რომ მდიდარი ოჯახის ქალი თუმცა მთელი დრო თავისუფალია, ბავშვების მოვლით და სამზარეულოში ტრიალით მაინც თავს არ იტკივებს...

ქალთა საარჩევნო უფლების წამოყენებაზე თუ ერთნი ოხუნჯობას მიეცენ, მეორენი იძულებული იყვენ საქმისათვის სერიოზიულათ შეეხედათ. ის გარემოება, რომ კლერიკალური, კათოლიკეთა პარტია ქალთა პოლიტიკურ უფლებების დამცველათ გამოდის, პირველი შეხედვით ძალიან უცნაური და დაუჯერებელია; დაუჯერებელია, რომ ისინი ვინც ისტორიის განმავლობაში ბეჯითათ ცდილობდნ ქალების დამონაგებას და დაჩაგრვის განმტკიცებას, ფეხ ქვეშ თელავდნ ქალის ადამიანურ ღირსებას^{*)}, დღეს ქალების სასარგებლო უფლებათა განხორციელებას შეეცადნ. საზოგადოათ კი, აქ არაფერია დაუჯერებელი. ისტორიამ არა ერთი და ორი მაგალითი იცის იმის, როცა რეაქციონურ პარტიას, რეაქციონურისავე მიზნით მიუმართავს პროგრესიული საშუალებისათვის. ამასთანავე, ბელგიაში დედათა სქესი, მცირე გამოწაკლით, ჯერ ისევე უმეცრებაშია ჩაფლული და მაშასადამე ყურ-მოჭრილი მონა კლერიკალებისა და კათოლიკების; ასე რომ თუ ქალებს საარჩევნო უფლება მიენიჭებათ, ამით ისარგებლებენ, პირველ ხანებში, მხოლოათ კლერიკალები და დიდათ გაძლიერდება მათი პარტია. მაშ, დასახელებული საკითხის გამო ყველა პარტიებს თავისი აზრი უნდა გამოეთქვათ, უნდა გამოერკვიათ მოქმედების ტაქტიკა, განესაზღვრათ, თუ როგორ პოზიციას დაიჭერდნ, უკეთუ კლერიკალები გაამართლებდნ თა-

*) მაგ. კლერიკალების წინაპარნი, იქამდის მიდიოდნ, რომ სერიოზიულათ მსჯელობდნ შეიძლება თუ არა ქალიც გონიერ არსებათა შორის ირიცხებოდესო ერთი ეპისკოპოსი ეკითხებოდა მამათა კრებას: აქვს თუ არა ქალს სული და შეიძლება თუ არა მასაც ეწოდოს ადამიანო (Lomo)?

ვინათ მუქარას და პარლამენტს წარუდგენდნ კანონპროექტს, ქალების საარჩევნო უფლების შესახებ ასეც მოიქცენ. ლიბერალურ და პროგრესიულ უფროსი პარტიების არიან, რასაკვირველია, ქალთა პოლიტიკურ უფლებების, როგორც მომხრენი, ისე მოწინააღმდეგენიც. უკანასკნელნი (მოწინ.) ფიქრობენ, რომ პოლიტიკური უფლებები არ შეესაბამება ქალის მოწოდებას, მის საზოგადოებრივ დანიშნულებას, რაიცა არის დედაობა (ანუ პირდაპირ რომ ვთქვათ — მოგვიტყვეთ სიტყვა — დედობა), ფიქრობენ, რომ ქალის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს, — მოყავთ აგრეთვე «მეცნიერული» საბუთებიც, რომ ქალის ტვინი სუბუქია მამაკაცისაზე და ამიტომ იგინი ვერ შეიძლებენ რთულ, საქვეყნო საქმეების გაძლოლას და სხ. მარა ყველა ეს არ არის გასაკვირვალი; ყველა ეს ძველი ამბავია, თუმცა ჯერ საკმაოთ არ დაძველებულა. იქნება ის უფრო საკვირველი იყოს, რომ ბურჟუები, ლიბერალებიდან და პროგრესისტებიდან, მომხრე არიან ქალთა პოლიტიკური უფლებების. მარა ნამდვილათ, არც ესაა საკვირველი. მოგეხსენებათ რომ არამც თუ ზოგიერთ უფლებების მინიჭება, სქესთა სრული თანასწორობაც კიდევ არ მოასწავებს «მეორეთ მოსვლას». გავიხსენოთ თუნდ ის გარემოება, რომ ბევრ ვანათლებულ, ბურჟუაზიულ ქვეყანაში ქალები დღეს უკვე იღებენ მონაწილეობას ადგილობრივ თვითმართველობაში, და ზოგან აგრეთვე სარგებლობენ საარჩევნო უფლებით საკანონმდებლო არჩევნებისათვისაც; მაგ. ინგლისის ზოგიერთ კოლონიაში და სამხრეთ ამერიკის ჩილისა და ეკვატორის რესპუბლიკებში. მარა დაუბრუნდეთ ბელგიის ლიბერალებსა და პროგრესისტებს. მიუხედავათ აზრთა სხვადასხვაობისა, ამ თ ერთხმათ და კატეგორიულათ გამოაცხადეს, რომ დღეს სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევენ ქალთა საარჩევნო უფლებას, ვინაიდგანო — დასაბუთეს მათ — ამ უფლების განხორციელება თან მოიტანს ლიბერალებისა და პროგრესისტების სრულ დამარცხებას და კლერიკალური პარტიის სამარადისო გაბატონებას...

მუშათა პარტიაში უთანხმოება ჩამოვარდა. ბოლოს მოწვეულ იქმნა პარტიის გენერალური, უმთავრესი რჩევის და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეერთებული კრება. აქ სხვა-და-სხვა აზრი გამოითქვა. ერთნი (და მათ შორის ლუი ბერტრანი) იმ აზრისა იყვენ, რომ თუ დღესვე მიენიჭებათ ქალებს საარჩევნო უფლება, ეს დიდათ მენებელი და დამღუპავი იქნება პარტიისთვის, რადგან ქალების ხმა გააძლიერებს კლერიკალურ პარტიას და ქვეყანაში გამეფდება უკიდურესი რეაქცია. მეორენი (და მათ შორის ვანდერველდი) თანაქმანი იყვენ, რომ პირველ ხანებში ქალების საარჩევნო უფლებით ისარგებლებენ კლერიკალები, მარა — დაძენდნ იგინი — ეს იქნება დროებითი და წარმავალი შედეგი, რასაც პარტია ადვილათ აიტანს; საარჩევნო უფლება, პოლიტიკური ბრძოლა, ჩინებული აღმზრდელი საშუალება, საუკეთესო შკოლაა... კამათის შემდეგ, სოციალისტ ქალთა ფედერაციამ წარუდგინა კრებას რეზოლიუციის შემდეგი პროექტი: «...ვინაიდგან დღეს ქალთა საარჩევნო უფლების — საკანონმდებლო არჩევნებისათვის — მოთხოვა აენებს მამაკაცთა ს. თ. ს. უ-ის მომხრეთა შეერთებულ და შეთანხმებულ მოქმედებას, ამიტომ სოცია-

ლისტ ქალთა ფედერაცია, გამსჭვალული მუშათა პარტიის უმაღლესი ინტერესით, წინადადებას აძლევს დებუტატებს, რომ ქალთა ს. თ. ს. უ-სათვის მოძრაობა შეაჩერონ ღროებით, ვიდრე განხორციელდებოდეს მამაკაცთა ს. თ. ს. უ.»... კრებამ, წინააღმდეგ სამი ხმისა, მიიღო ეს რეზოლიუცია და ამასთანავე დასძინა, რომ უკეთეს გარემოება მოითხოვს, ამავე საკითხისათვის მოწვეულ იქნება პარტიის არა ჩვეულებრივი კონგრესი...

ასეთია დღეს აქაურ პოლიტიკურ პარტიების ურთიერთშორისი განწყობილება. შესაძლებელია, ზეალ ახალმა გარემოებამ კვლავ შეცვალოს ეს განწყობილება... შესაძლებელია ყველა ოპოზიციონური პარტიები (ვიგულისხმებთ ლიბერალებსაც) კვლავ შეერთდნენ და შეერთებული ძალით მიიტანონ იერიში კლერიკალების წინააღმდეგ; მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ის კი ექვს გარეშეა, რომ მოძრაობა საარჩევნო რეფორმისათვის ივლის «კრესცენდო» იმატებს, უფრო გაძლიერდება...

ლ. დ.

გურიის «შუამავლის» კრება

(წერილი ოზურგეთიდან).

ორი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც რომ გურიის ამხანაგობა „შუამავალი“ „გლიჯინ-გლიჯინით“ შორის თავდაღმართში, მარა ამას მისი წევრები არ უჯერებენ, უგრძობებენ ვითომ სიცოცხლეს და ამით უგრძობებენ სიკვდილის გზასაც. ვინ ჩივს, რომ ეს მომაკვდავი მზატეთ მაინც მიქრადეს სამარისაკენ და მის არაქათ-გამოღეულ ზურგზე ვეება ტვირთი არ იდვას ის ტვირთი კი ფრიად საგრძნობელია არა თუ მომაკვდავისათვის, ჯანსაღისათვისაც კი. მე მოგახსენებთ იმ 7,000 მანეთზე, რაც, ვალის სახით, ზურგზე აკრავს მოგლიჯინე „შუამავალს“. ვინ გაუწია მას ასეთი ძმობა? ვინ აკიდა მას ეს ტვირთი? ამ კითხვებს რომ ვრცლათ შევეხოთ, შორს წაგვიყვანს და ამიტომ მოვიყვანთ მხოლოდ ამ თვის 20-ს მომხდარ კრების ზოგიერთ ორატორების აზრს ამის საპასუხოდ. ბ-ნმა ს. ქეიშვილმა მიიყვანა სიკვდილის გზაზე ჩვენი ამხანაგობა, მან შეაყენა ის დაღმართზე, მან აკიდა ზურგზე ის და, ამ რიგათ შეკახულ «შუამავალს», კრა წიხლი მისმა მხედარმა და გადმოუძახა სიკვდილისაკენ». ამ საგმირო-სადელიყანდო საქმის შესასრულებლათ ბ-ნ ს. ქეიშვილს დასჭირებოდა მარსელში მოგზაურობა და იქ ტყუილ-უბრალოთ 700 მან. დახარჯვა, დასჭირებოდა აგრეთვე 8,000 მან. თესლის ყიდვა და აქედან 4000 მან. ზარალის ნახვა, დასჭირებოდა კიდევ, რომ პარკი დიდის ზარალის გამოჩენით მარსელში გაეყიდა და არა ჩვენში, თუმცა მას აქ ისეთ ფასს აძლევდნენ, რომ ამხანაგობა მოგებას ნახავდა; ამავს გარდა დასჭირებოდა ერთ და იმავე დღეს სადილების მირთმევა **ბათომშიაც, ლანჩხუთშიაც, ოზურგეთშიაც;** კიდევ სხვა ბევრი რამ დასჭირებოდა ბ-ნ სოლომონ ქეიშვილს იმ ხურჯინის ასავსებათ, რაც მას „შუამავალისთვის“ უნდა აეკიდა სასიკვდილოთ. მოგახსენებთ, რომ თუ კაცმა რაიმე საქმეში გმირობა გამოიჩინა, იმ გმირს მომხრეებიც გამოუჩნდება. სოლომონ ქეიშვილიც ხომ „გმირია“, დელიყანდია და, მაშ, რა გასაკვირველია, რომ დელიყანდს ქომავებათ დელიყანდები გამოუჩნდნენ!

წარსული წლის 16 დეკემბერს მოწვეულ იქნა ამხანაგობის საზოგადო კრება «შუამავლის» საქმეების განსახილველათ.

კრებამ, რომელიც 200-ზე მეტ წევრებისაგან შედგებოდა, მოისმინა ამხანაგობის საქმეების ითვარება, არ მიიღო ამხანაგობის გამგისაგან წარმოდგენილი ანგარიში, როგორც სინამდვილეს მოკლებული, მიიღო ანგარიში სარევიზიო კომისიისა და გაითვალისწინა რა ბ-ნ ს. ქეიშვილის მოქმედება, გადააყენა ის გამგის თანამდებობიდან და ამხანაგობის საქმეების მართველათ აირჩია ხუთი კაცი. ამორჩეულებმა უარი განაცხადეს მკვდარი საქმის გაძლოლაზე და ეს აცნობეს ბ-ნ ს. ქეიშვილს, რომელიც ამხანაგობის სხვა პირისადმი ვადაცემამდის მაინც გამგეთ ითვლებოდა. ბ-ნმა ს. ქეიშვილმა მოიწვია კრება, რომელიც 20 ამ თვეს შედგა, ამხანაგობის სამართველო ფუნქციის ასარჩევათ და წარმომადგენლობითი სისტემის განსახილველათ. კრებამ თავმჯდომარეთ ბ. ვ. ურუშაძე აირჩია. დიდი კამათის შემდეგ კრებამ გადაწყვიტა, რომ ლიკვიდაცია არ მოეხდინათ და განეგრძოთ საქმე. ლანჩხუთელები კრებას არ დასწრებია. გამოვეზავნათ მათ ორი თუ სამი კაცი შემდეგი წინადადებით: რადგან ჩვენ ბევრჯერ ვაგვიცრულა იმედები ოზურგეთლებთან ამხანაგობამ და ვხედავთ, რომ ამგვარ მდგომარეობაში ამხანაგობას აუცილებლათ სიკვდილი მოეღოს, ამიტომ ჩვენ, «შუამავლის» ლანჩხუთელი წევრები, ვაძლევთ კრებას შემდეგ წინადადებას: ეკისრულობთ გადავიხადოთ ამხანაგობის ნახევარი ზარალი, მხოლოდ მოგვეკვს ის ფარდულები, რაც ამხანაგობას ლანჩხუთში აქვს და ამის შემდეგ ჩვენ დავიწყებთ ცალკე მოქმედებას, ან და, თუ ამ წინადადებას არ მიიღებს კრება, მაშინ მოგვეკვს ნება, რომ ლანჩხუთლებმა ავირჩიოთ ჩვენი მხრით ერთი კაცი, რომელსაც ოზურგეთელ გამგის დამოუკიდებლათ შეეძლოს მოქმედებაო. მიუხედავად იმისა, რომ „შუამავალის“ შეგნებულმა წევრებმა მთელი თავისი ძალ-ღონე იხმარეს კრებისათვის ჩაეგონებინათ ლანჩხუთლების წინადადების სამართლიანობა,—აქ თუ ამხანაგობის საქმეები სიკვდილისაკენ მიგვეყვს, იქ იქნება ფეხზე წამოაყენონ ეს სასარგებლო საქმეო—კრების უმრავლესობამ ლანჩხუთლების წინადადება არ მიიღო,—გინდა თუ არა შენც ჩვენთან იყავი და ორივემ ერთათ, შეერთებულათ დავმარხოთ «შუამავალიო». მაკვირებს მეტათ ლანჩხუთლების მოქმედება. ნუ თუ არ იციან მათ, რომ კრებაზე კითხვები ხმის უმეტესობით წყდება და თავის წინადადებებს რატომ არ მოყვენ გასაყვანათ თავისი ხმებით. მართალია, ლანჩხუთლების წარმომადგენელი ბევრს ყვიროდა: ვადადევით კრება და თუ ხმებზეა საქმე, მოვალთ და ჩვენ წინადადებას ვაფიქანთ, ხმებს გოდრებით დავდგამთო, მარა აბა რას შეუსმენდნენ მას დელიყანდები! დიან, საჭირო იყო მობრძანებულებიყვენ, რომ თავისი სამართლიანი მოთხოვნა გაეყვანათ. იქნებ, მართლა, მათ აღედგინათ ეს საქმე და მით სარგებლობა მოეტანათ სოფლელებისათვის.

შეუდგენ გამგის არჩევას. დელიყანდის დელიყანდებმა ისევ დელიყანდის კანდიდატურა წამოაყენეს და ამას შემდეგით ასაბუთებდნენ: ეს წახდენილი საქმე ისევ იმან გამოაყეთოს, ვინც წახდენიაო. ასე რომ, თურმე, თუ ერთხელ შეყავით თავი ისეთ საქმეში, რომელიც კერძოთ თქვენი კუქის ძალიან გამძღებია, მარა თქვენ კი თქვენის მოქმედებით საზოგადო საქმეს სამარეს უთხრით, ნუ გე-

შინათ, ფიქრი ნუ გაქვთ, ოზურგეთელ დელიყანდების ლოლიკით, თქვენ ვერავინ გამოაცვლით, რადგან საქმეს ახლენთ და თუ არ გამოაკეთებთ იმ საქმეს, როგორ შეიძლება თქვენი გამოცვლა! თქვენ კი აბა რისთვის გამოაკეთებთ საქმეს და ამ რიგათ სულ იქნებით და იქნებით თფილ ადგილზე... ფხიზელმა წევრებმა რაკი დაინახეს, რომ დელიყანდების რიცხვი ქარბობს «უბრალო მომაკვდავთა» რიცხვს, მოითხოვეს კრების გადადება შემდეგი კვირისათვის, მარა ხმის უმეტესობით გადაწყვიტეს, რომ ამავე კრებაზე აერჩიათ გამგე და აირჩიეს კიდევ... სოლომონ ალექსანდრეს ძე ჭეიშვილი. გამგეობის წევრებათ ბ-ნი კანდელაკი და დვებუის სკოლის მასწავლებელი ირაკლი ღლონტი. როცა ამ უკანასკნელს აუხსნეს, რომ პარკის ყიდვის დრო მაისი და ივნისი მასწავლებლისათვის ისეთი დროა, როცა მათ მოცლა არ აქვთ და მაშ ბ-ნი ირაკლი „შუამავლისთვის“ ვერ მოიცილიდა, ის სავსებით დაეთანხმა ამ აზრს, მარა... გამგეობის წევრათ ყოფნა მაინც ისურვა. და ამით დაგვიმტყცა დელიყანდურ ლოლიკით, რომ თუმცა მე ვერ მოვიცილი ამხანაგობისთვის, მარა 150 მანეთს მაინც მივიღებ ამხანაგობისაგანო! ეს ბ-ნი ირაკლიც კი გვარიანი დელიყანდი ბრძანებულა და მოგვილოცნია ბ-ნ ს. ჭეიშვილისათვის ღირსეული და შესაფერი ამხანაგი. არ ვიცი კი როგორ მოახერხებს გამგეობის კრებაზე დასწრებას ბ-ნი მასწავლებელი, როცა მას შკოლაში გაკვეთილები ექნება! მარა ვინ იცის, ბ-ნი ჭეიშვილი თუ ახერხებდა ერთ დღეს სხვა-და-სხვა ქალაქებში სადილობას და ამით ის ყოველგან მყოფის ხარისხს იძენდა, იქნება ბ. ირაკლიმაც მოახერხოს დვებუში გაკვეთილის მიცემა და იმავე დროს გამგეობის სხდომაზე დასწრებაც! ოზურგეთური ლოლიკა უთუოთ ამასაც შეძლებს!

კრებამ გააუქმა წარმომადგენლობა და აღადგინა ისევ ის წესი, რომლითაც საზოგადოების უფროსი თვით წევრები, საზოგადო კრება იქნება, რაც, რასაკვირველია, საქმისთვის უმჯობესი იქნება. კრებამ აგრეთვე დაწია 1899 წელს 30 მანეთამდე აწეული პაის ფული 10 მან.

დავასრულებ ამ წერილს შემდეგით. კრების თავმჯდომარე, ბ-ნი ვასილ ურუშაძე, თუმცა დიდის ოსტატობით იმაღავედა კუდს, მარა მისი «დიდი ოსტატობა» ოზურგეთური ლოლიკა დარჩა და ვერ გამოდგა იმდენათ დიდი, რომ დამალული კუდი სერთუჟის კალთებიდან არ გამოჩენილიყო. როცა მას თხოვეს, სხდომა ერთი საათით მაინც შეწყვიტეთ და მით ნება მოგვეცით ვისადილოთო, მან ეს არ ინდომა და კრება მხოლოდ 10 წუთით შეწყვიტა. რაო ნეტავ ბასილმა? ისო, რომ წევრებმა ვინმე კანდიდატი არ გამონახონ და ბ-ნი სოლომონი არ გამიშაფონო. ამას გარდა, ბ-ნმა ბასილმა, როცა კრებამ დახურული კენჭის ყრით მოითხოვა კითხვების გადაწყვეტა, მან დაუფარავე ყუთი დადგა სტოლზე და მით კენჭის ყრა დაუფარავე გახადა! რაო ნეტავ ამით ბასილმა? ისო, რომ თუ ვინმე ჩემ დელიყანდს შავს მიცემს, დავინახავთ, სახეში ვიქონიებთ და მერე დელიყანდურ საქმეს წავკიდებთო. უნდა ვთქვათ, რომ ბ-ნ ს. ჭეიშვილის ბრჩევით ჭეიშვილის ამომრჩეველებმა საცოდავ «შუამავალს» თუ სადმე კიდევ ქონდა კუნჭულში სიცოცხლის ნაპერწკალი, იგიც ჩაუქრეს. და იცით, ეს რატომ ჩაიდინეს? როგორც თითონ აღიარეს, მიტომ, რომ ზო-

გიერთ მათგანს ვექსილებზე ხელი აქვთ მოწერილი და თუ სოლომონი გავიყვანეთ, სამაგიეროთ, ჩვენ ვექსილებს ადრე გაისტუმრებს, ან და ის, ჩვენი ხათროსა და სიყვარულისთვის, სხვას მოაწერინებს ხელსო და რადგან ეს მათი კერძო ინტერესები ყოფილა საქმეში გარეული, აკი მოიქცენ კერძო ინტერესების თანახმით! არ ვიცი — ბ-ნმა ს. ჭეიშვილმა რა მიზნით მიიღო მისი ბრჩევა, მარა ის კი ვიცი, რომ 16 დეკემბრის კრებამ ის დაითხოვა და მისი ანგარიში არ მიიღო. დელიყანდის მეტს, ჩემი აზრით, არ უნდა ესარგებლებინა იმ შემთხვევით, რომ კრებაზე დელიყანდის მომხრეები ქარბობდა, არ უნდა ესარგებლებინა ვექსილობითი ბარათებით, რომელიც მას დასტა-დასტათ ეწყო სტოლზე და მის მომხრეებს ურიგებდა. ჩანს, რომ «შუამავლის» გამგის თანამდებობა კი თფილი ადგილია, კუქის კარგათ გამოძღვებია, ამხანაგობის შემთ, ნავთით და სანთლებით გამგის სახლის კარგათ გამთბობია, ერთ და იმავე დღეს ერთ და იმავე საათზე ბათომში, ლანჩხუთში, ოზურგეთში კარგი სადილების მიმრთმევეა და ამისთანა ადგილს რათ უნდა გამოთხოვებოდნენ, თუ გინდ რომ ამით „შუამავალი“ კი არა, საქართველოც იღუპებოდეს! ეს ხომ წინააღმდეგი იქნებოდა დელიყანდურ ლოლიკისა!..

Nina.

სიტყვაკაზმული მხარლოვა 1901 წელს.

(შემდეგი. — იხ. № 4).

გადავიდეთ ახლა „ფული და ხარისხ“-ზე, ქ-ნი აზიანი სულ ახალგაზრდა მწერალია; რამოდენიმე წელიწადი იქნება, რაც ის მწერლობის ასპარეზზე გამოვიდა და მალე დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება. საზოგადოება იცნობს მის სამ კომედია: „ინჯილერი და დობტური“, „ფული და ხარისხი“ და „გაცრუებული იმედები“. პირველი კომედიის შესახებ ჩვენ გამოთქმული ვექსიონა ჩვენი აზრი ამ ორი წლის წინეთ. რამოდენიმე იმ ნაკლთაგანი, რომლებიც აუშნოებდენ პირველ კომედიას, ავტორს უკვე მოუცილებია თავიდან. თუ სინამდვილის სისაძაგლით ამღვრეულმა გულმა ავტორს პირველ კომედიაში აღაგ-ალაგ სინამდვილე დაამახინჯებია და ტიპების მაგიერ კარიკატურები დაახატვია, სამაგიეროთ ვერც სინამდვილის დამახინჯებასა და ვერც კარიკატურას ვეღარ ნახავთ შემდეგ კომედიებში. „ფული და ხარისხის“ შინაარსი მარტივია, თ-ღი დავით ლაშხაძის შვილი ლევანი, რომელმაც ყველა საშუალო სასწავლებლები დაიარა და ბოლოს შინ დაბრუნდა, ირთავს მდიდარი შარბათოვის ქალს — მაშოს, მიჰყოფს ხელს ლოთობასა და გარყვნილ ცხოვრებას, მოაბეზრებს როგორც სიმამრს ისე ცოლს თავს, ლოთობის დროს მოჰკლავს კაცს და ციმბირში ამოჰყოფს თავს. თემა, როგორც მკითხველი ჰხედავს, ახალი არ არის; გაღარბებული თავადები რომ ცოლის შერთვით იმედოვნებდენ ხსნას და, რადგანაც სიმდიდრესობებში იყო, ამიტომ სომხის ქალებს ეტანებოდნენ და უკანასკნელებიც კნენობას ხარბდებოდნენ, ეს ჩვენმა ცხოვრებამა და ჩვენმა ლიტერატურამაც დიდი ხანია იცის. მაგრამ ავტორს არ უნდოდა, ახალი რამ ეთქვა. მან გადმოიღო ნამდვილი ცხოვრებიდან ის, რამაც მისი ყურადღება მიიპყრო მიუხედავათ იმისა, რომ სურათი ახალი არ არის, ავტორმა ისე კარგათ დახატა, რომ მაინც სა-

ყურადღებო გამოვიდა. „ფული და ხარისხი“ უტყუარი სახეა ჩვენი არისტოკრატიის დღევანდელი მდგომარეობისა; თავ. ლევან და კოწია ლამბაძეები ავტორს მეტათ ხელოვნურათა აქვს დახატული; ყოველი მათი სიტყვა, ყოველი მოქმედება, ყოველი მოძრაობა ბუნებრივია, ნამდვილი ცხოვრებიდან არის ამოღებული. რას წარმოადგენენ ეს ახალგაზრდა თავადები? სრულ არარაობას, როგორც გონებრივათა და ზნეობრივათ, ისე ქონებრივათაც. მომავალი ამათ აღარავითარი არა აქვთ და აწმყოში მხოლოდ საუცხოვო მაგალითს წარმოადგენენ გადაშენებისას. გონებრივათა და ზნეობრივათ ამადღებია აღარც ერთს არ ძალუძს, სწავლის ნიქსაცა და სურვილსაც ორივე მოკლებულია. ღვინო და ქალები — აი ერთათ ერთი საფიქრალი ორივესი, ლოთობა და გარყენილება, — აი ერთათ ერთი საქმე, რომელიც მათ შეუძლიათ. ჩვენი თავად-აზნაურობის იმ ნაწილის გამობრუნება, რომელსაც კოწია და ლევანი ეკუთვნიან, ყოველათ შეუძლებელია, — ეს ნაწილი გადაშენების გზას ადგია და დღეს თუ ხვალ უნდა სრულებით აღიხოს ჩვენს ცხოვრებაში. დარჩა მეორე სამწუხაროთ უმცირესი ნაწილი ჩვენი არისტოკრატიისა, რომელსაც აქვს მომავალი იმდენათ, რამდენათაც ის ახალი დროის მოთხოვნილებსამებრ იცვლება. ჩვენი თავადობის ამ ნაწილს სიტყვაკაზმული მწერლობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

არტემ შარბათოვი, მისი მეუღლე - სოფიო და ქალი — მათა ავტორს კარგათა აქვს დახასიათებული, ხოლო დავით ლამბაძე ბუნებრივობას მოკლებულია, ის თავისი რეზონანსობით უფრო ავტორის სენტენციაა, ვიდრე ცხოვრებიდან ამოღებული პირი. ის უფრო თავადის ტანისამოსში გამოწყობილ თანამედროვე განათლებულ დემოკრატს წაგავს, ვიდრე 60 წლის თავადს, რომელიც შინაურულათ აღზრდილა და სხვა განათლება არავითარი არ მიუღია. ის, რასაც დავით ლამბაძე ქადაგობს, ავტორის აზრებია და არა ლამბაძის; შესაძლებელია, ლამბაძეს რწამდეს, რომ თავადობას დღეს ფასი აღარა აქვს, რომ გვარიშვილობას პირადი ღირსება ჯობია და სხვ., მაგრამ იმის წლოვანებაში მყოფი ძველებური თავადი რომ ამდენათ მოკლებული იყოს თავადურ სიამაყესა და ბატონყმურ გემოვნებას, შეუძლებელია. ავტორმა ეს პირი უფრო თავის ფანტაზიით შეთხზა, ვიდრე ცხოვრებიდან ამოიღო და ამიტომ დავით ლამბაძე ცოცხალი ადამიანის შთაბეჭდილებას სრულებით ვერ ახდენს. თუ პიესის ზოგიერთი პირი, როგორც ლევან და კოწია ლამბაძეები სამაგალითო რეალიზმით არის დახატული, ამგვარისავე რეალიზმით არის შემოწმებული რამოდენიმე სცენები პიესაში: მაგალითათ მეოთხე გამოსვლა პირველ მოქმედებაში, მეექვსე გამოსვლა, მეორე გამოსვლა მეორე მოქმედებაში და მერვე გამოსვლა მესამე მოქმედებაში. ვადავიდეთ ახლა პიესის ტექნიკურ მხარეზე. სამივე მოქმედებათა შორის ლოლიკური კავშირი არსებობს, მაგრამ უმთავრესი ნაკლი პიესის ტექნიკური მხარისა იმაში მდგომარეობს, რომ პირველი და მესამე მოქმედება მეტათ გაქიანურებულია. პირველი მოქმედების მეხუთე გამოსვლაში გლეხები სრულებით მეტი არიან. სრულებით მეტათ მიგვაჩნია აგრეთვე მერვე გამოსვლა პირველ მოქმედებაში. აქ თუ ავტორმა გამოიყვანა ივანე მუშტაძე, მას მიზნათ ქონდა ქართველი ჩარჩი დაეხატა, მაგრამ ივანე

სრულებით სუსტი და მკრთალი გამოვიდა. მოსმინით, როგორის სიტყვებით შეხვდება ივანე თავად ლავროს: „დაჯიო. ფულები უნდა მასესხო.“

ივანე. საღლა მაქვს, ძმაო, ფულები!
 ეს ერთათ ერთი სიტყვა „ძმაო“ სრულებით აფუქებს მთელ მერვე გამოსვლას. ამ ერთი სიტყვით ავტორმა დაამტკიცა, რომ ქართველი ჩარჩის ბუნება, ფსიხიოლოგია მას არა აქვს შესწავლილი: რა შეძლების პატრონიც უნდა იყოს ივანე, რა სიმალღეზედაც უნდა აყენებდეს ის თავის თავს დავითთან შედარებით, დავითს ის „ძმაოს“ არასოდეს არ ეტყვის პირში. ივანეს დახატვაში ავტორი ძალას ატანს თავის ნიქს და ამიტომ მთელი ეს გამოსვლა რომ გამოეტოვებია ავტორს, ამით პიესა არას წააგებდა. მეხუთე გამოსვლა მესამე მოქმედებაში სრულებით მეტია; ის რომ შემოკლებია ავტორს და მეოთხე გამოსვლასთან შეეერთებია, ვაცილებით უმჯობესი იქნებოდა.

„ვაცრუებული იმედების“ ღირსება და ნაკლულევაწება იმგვარივეა, როგორც განზილული პიესის. შინაარსი აქაც მარტივია. სტეფან ზარალოვი და მისი მეუღლე ნინო დოქტორ-შვილს მოვლიან უნივერსიტეტიდან და იმის დიპლომზე დიდ იმედებს ამყარებენ: ფულები, სახლები, კეთილი ცხოვრება — აი რის გარშემო ტრიალებს მთელი მათი აზროვნება; მაგრამ შვილი ჩამოსვლისათანავე აქარწყლებს მათს იმედებს: მას არც ფული, არც სახელი არ იზიდავს, — მისი მიზანია სინიღისიერათ იცხოვროს და ყოველ გაჭირვებულს დაეხმაროს. პიესის უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ შიგ არავითარი მოქმედება არ არის; მოქმედება სცენის გარეშე წარმოებს, თვით სცენაზე კი ცარიელი ენის ტრიალია; ორივე მოქმედება ცოტა გაქიანურებულია, თუმცა მკითხველსა და მაყურებელს იმდენათ არა ჰღალავს, როგორც «ფული და ხარისხი». სტეფანე ზარალოვი, ნინო და ლიზა პიესაში კარგათ არიან დახატული. ზარალოვი საუცხოვო ტიპია იმგვარი მამებისა, რომლებს მზგავსაც ბევრსაწახავთ ჩვენს ცხოვრებაში. მასი ერთათ ერთი მიზანი საკუთარი ბედნიერებაა; მასი აზროვნების, იმის მისწრაფებათა ერთათ ერთი საგანი — ფული. ის ყოველისფერში ფულს ეძებს, ყოველისფერს ფულის საზომით ზოზავს. სწავლა-განათლების იდეური მხარე მას არ ესმის, განათლება მის თვალში მხოლოდ იარაღია ფულის მოსახვეჭათ. მას ვერ წარმოუდგენია, რომ სიჭიდრეზე მალა იდგეს რამე ცხოვრებაში; იმის თვალში საშინელი სისულელეა, როდესაც ადამიანს თავის თავს გარდა სხვაც ახსოვს, სხვისთვისაც ზრუნავს. საკუთარი კეთილდღეობა — აი რას უნდა ეტრფიანებოდეს ყოველი ადამიანი მისი აზრით; ამ მიზნის მოსახვეჭათ მისთვის ყოველგვარი საშუალება პატრუსადებია. ამიტომ ზარალოვის ზნეობრივსა და უზნეო საქციელზე, პატროსნებაზე და ადამიანურ ღირსებაზე სრულებით თავისებური წარმოდგენა აქვს. მის თვალში „კაცი ის არის, ვისაც ფული აქვს“, როდესაც ადამიანი ყველას ეხმარება და თავის თავს კი ივიწყებს, ასეთი ადამიანი შესაბრალია და უღირსი. მისი შვილი ვანო კი სრულებით წინააღმდეგი ტიპია. ის უარყოფს ყოველივე იმას, რასაც მამა მისი ეტრფის, მას ეზიზღება ყოველივე ის, რაც მამა მისს მოწონს. ის, რაც მამა მისის თვალში პატროსანი და სინიღისიერია, იმის თვალში უპატროსნო

და უსინდისოა; ის უარყოფს სიმდიდრეს, მაღალ საზოგადოებაში ტრიალს; მარტო თავის თავზე ზრუნვა, მარტო საკუთარი თავისთვის ცხოვრება მას დიდ უზნეობათ მიაჩნია; ადამიანის ღირსება, პატიოსნება და სხვისთვის ცხოვრება, გაქირავებულის შველა მის აზროვნებაში ერთათ არიან შეერთებული; ამიტომ მამასა და შვილს ერთმანერთისა სრულყოფით არაფერი ესმისთ, საერთო მათ სრულყოფით არაფერი აქვთ.

ლიზა ტიპიური წარმომადგენელია ქარაფშუტა ქალებისა. არც თავში, არც გულში ფუქსავატობის მეტი მას არაფერი აბადიარა. საკუთარი რწმენა-შეხედულება მას არ გააჩნია, ის ცხოვრობს საზოგადოების გემოვნებით, ის მოქმედობს ისე, რომ საზოგადოებამ არ გაჰკიცხოს; საკუთარი წარმოდგენა ზნეობაზე, პატიოსნებაზე და ადამიანის ღირსებაზე მას არ გააჩნია; მას მოწონს ის, რაც საზოგადოებას მოწონს, წუნობს მას, რასაც საზოგადოება წუნობს, რასაკვირველია ის საზოგადოება, რომელშიაც ის ტრიალობს. მისი ერთათ ერთი მიზანია საკუთარი ბედნიერება, სიმდიდრე ფუფუნება და მდიდარი ქმარი სიყვარულისათვის კი არა, არამედ ფულებისათვის. ნინო სრული მზგავსება თავისი ქმრის სტეფანესი. ის აღზრდილია იმგვარსავე წრეში და აზრებში, როგორშიაც მისი ქმარი და ამიტომ მისი მიზანი და მისწრაფებანი იგივეა, რაც სტეფანესი. სტეფანეს ქალის სონას სახით ავტორს უნდოდა დაეხატა ლიზას წინააღმდეგი ახალგაზრდა ქალის ტიპი. სონას მიზანია თავისი შრომით ცხოვრება, სწავლა-განათლებით აღჭურვა და საზოგადოებისათვის ზრუნვა. მარტო თავის თავზე ფიქრი, მარტო თავის კუჭისათვის ზრუნვა მას ქირივით ეჯავრება და ამიტომ სულითა და გულით მისწრაფის მშობლების ოჯახიდან გასვლას. გაბო-სონას საქმრო იმგვარივე აზრებისა და იდეალების ყმაწვილი კაცია, როგორც ვანო, მხოლოდ უფრო მოძრაი და ცოცხალი ტემპერამენტის. ხასიათთა ამ მოკლე განხილვით მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ ავტორს ორი სხვა-და-სხვა რწმენა-შეხედულების პირნი ყავს გამოყვანილი; ერთ მხარეზე დგანან სტეფანე, ნინო, ლიზა, გიგო და კეკელა — გაბოს მშობლები, მეორეზე ვანო, სონა და გაბო. პირველნი არიან წარმომადგენელნი მატერიალური მიმართულებისა; მათი აზროვნების ცენტრში მოთავსებულია საკუთარი „მე“ და საკუთარი კუჭი; მეორენი კი არიან წარმომადგენელნი იდეალური მიმართულებისა; მათი აზროვნების შუაგულში მოთავსებულია „მე“-ს მაგიერათ გაქირავებული, კუჭის მაგიერათ სული. პირველი მიმართულების წარმომადგენელნი ავტორს საუცხოვოთა ყავს დახასიათებული: სტეფანე და ლიზა ნამდვილი ცხოვრებიდან არიან ამოღებული უნაკლულოთა და სრულის სინამდვილით; სულ სხვა ავტორის ნიჭი მეორე მიმართულების პირთა დახატვაში; რამდენათაც ძლიერია ავტორი სტეფანესა და ლიზას დახატვაში, იმდენათ სუსტია ვანოსა და სონას დახატვაში. ვანო ცალიერი რეზონანორია; სონა ხომ სრულყოფით მკრთალი, უფერული და უსიცოცხლოა; ამ პირთა შორის უკეთესი გამოვიდა ისევე გაბოს სურათი. ეს სცენები ავტორს ნამდვილი ცხოვრებიდანა აქვს ამოღებული და ცოცხლათა და სრულის რეალიზმით დახატული. როგორც სახელოვნო ღირსებით, ისე ტენიკის მხრით ეს

კომედია ერთი მხრით მაღლა დგას «ფულოსა და ხარისხზე», მაგრამ მეორე მხრით უკანასკნელს მით ჩამოუვარდება, რომ მოქმედება აქ მეტია და უფრო ბუნებრივია და მეტის თანდათანობით მიმდინარეობს მაყურებლის წინაშე, ვიდრე „გაცრუებულ იმედებ“-ში; მაგრამ ავტორის ნიჭი ჯერ გამოუცდელი და გაუწრთენელია; ავტორს ჯერ კიდევ დიდი შრომა და მეცადინეობა სჭირია, თუ უნდა რომ იმისმა ნიჭმა შესაფერი ნაყოფი მოიტანოს: მან საფუძვლიანათ უნდა შეისწავლოს ერთის მხრით სცენა, მეორე მხრით ევროპის საუკეთესო დრამატურგები, მესამე მხრით უნდა ეცადოს აღიჭურვოს ფილოსოფიური განვითარებით, რაც აუცილებელ პირობას შეადგენს ყოველი მწერლისათვის, რა ნიჭის პატრონიც უნდა იყოს; ვანოსთანა ტიპები ავტორს უფრო რეალური და უფრო ცხოველი გამოუვიდოდა, რომ იმის დაკვირვებით ნიჭს შესაფერი განვითარებაც ხელს უწყობდეს. უკანასკნელი პიესა აშკარათ ამტკიცებს, თუ რა თვისების არის ქ-ნი ანის ნიჭი, რაშია მისი ძალა და რაშია მისი სისუსტე. ავტორის ფანტაზია სუსტია, სამაგიეროთ დაკვირვების ნიჭი ძლიერი. ის საუცხოვოთ ამჩნევს ცხოვრებისა და ადამიანის ბუნების გასაკაც მხარეებს და აქ მისი ენა მკვირცხლი, ცოცხალი და დამკინავია; სამაგიეროთ ცხოვრებისა და ადამიანის ბუნების კარგი მხარეების ხატვა მის კალამს არ ეხერხება და ამიტომ ავტორის ასპარეზი კომედიაა. რადგანაც ავტორი თითქმის ყოველისფერს შიგ ცხოვრებიდან იღებს, ამიტომ მისი ტიპების მრავალფერობა დამოკიდებულია იმ ცხოვრების სიფართოვეზე, რომელშიაც ავტორი ტრიალებს. ვინც გაიცნობს ავტორის სამივე კომედიას, ის მალე შეამჩნევს, რომ ავტორს საფანელი ელევა, ერთფერობა ეტყობა; ამის მიზეზი ის არის, რომ ავტორს პატარა წრე ყავს მხოლოდ შესწავლილი და მხოლოდ ამ პატარა წრიდან იღებს თავისი კომედის მომქმედ პირებს. თუ ავტორის დაკვირვება ამ პატარა წრეს აღარ გადაცილდება, წინდაწინვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალს ველარას მოგვცემს, ყოველი მისი კომედია ძველი ტიპების ახალ ტანისამოსში გამოყვანა იქნება. ამიტომ თუ ავტორს უნდა, რომ თავისი ნიჭი ერთ წერტილზე არ შეაჩეროს, ის ღრმათ უნდა ჩაუკვირდეს და ყოველის მხრით შეისწავლოს ჩვენი რთული საზოგადოებრივი ცხოვრება. ამისათვის თავისი დაკვირვება ავტორმა უფრო ვრცელ წრეში, მთელ საზოგადოებაში უნდა გადმოიტანოს და არა იმის ერთ რომელიმე ნაწილში და დაკვირვების გარდა ავტორმა წინ უნდა წაიმძღვაროს გარკვეული მსოფლიო შეხედულება, გარკვეული იდეალები. მხოლოდ ამ პირობებში შეძლებს ავტორი ნამდვილი და შემუშავებული კომედიების შექმნას, დღეს კი მისი ნიჭი უფრო მზადების ხანაშია, ვიდრე შემოქმედებისაში.

მცირე ზენიზნა ბათუმის სახელოსნო სასწავ- ლებლის შესახებ.

(წერილი რედაქციის მიმართ).

ბუკნს მოესხენება, რომ ამ შკოლის მიზანი, როგორც სხვა ამ კატეგორიის შკოლებისა, არის მომზადება თეორიულად და პრაქტიკულად სკოლების მტრად დასაჯადებისა, მეტწილად ამისთანა შკოლებში არის რამდენიმე განყოფილება სკოლბათა მისედათ: ზენიკობისა, დურგობისა, აბრეშუმე-ულობის და შალეულობის ქსოვისა და სხვა. არას გეტყვი ორ შირველ განყოფილებაზე, რადგანაც აქედან გამოსულნი გარ-გათ თუ აკათ შოგლობენ საზრდოს. მე მისთვის სუსტი წარ-მოდგენა მაგრე მეთხველს უკანასკნელ განყოფილებაზე - ქსო-ვისასზე, რომელიც შირველ ორ განყოფილებათა შორის არსე-ბობს ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში. ეს საჭიროთ მი-მხნია მით უფრო, რომ ამ განყოფილებაზე ისარჯება საჭი-რით მოზრდილი ჯამი. ნამდვილი საჭირო-ღრმისკა ამ განყო-ფილებისა მე არ ძალ მიძი აქ მოვიყვანო, მაგრამ თუ მივი-ლებთ მსეველობაში ნამდვილ ობობიველ მანქანებს, რამდენ-იმე საქსოვ დაზგებს, მასწავლებლის და ოსტატის ჯამი-გირებს, წლის განმავლობაში საჭირო მარკას, და სხვა ამის-თანა საჭივებს, მივილებთ კარგა მოზრდილ ციფრს. ასლ ვი-გათხოთ: მოაქვს ამ განყოფილებას იმდენი სარგებლობა სა-ზოგადობისთვის და კარმით იმ სახლგაზდებისთვის, რომ-ელიც ამ განყოფილებიდან გამოდის თუ არა? ვგრდები ამ ვითხვას, შეძლებისა დაგვართ, მასუნი მივრე. ზვეში საქსო-ვი ქარხნები, ამუშავებულნი დიდი ვამიტალით, ვერ მეტოხნ-კლებია. მამ, სად უნდა წავიდეს ბათუმის სახელოსნო სას-წავლებლის საქსოვ განყოფილებიდან გამოსული? რა დარჩე-ნია?—ან უნდა წავიდეს ურსო ქვეუხაში, ან უნდა გასხნას კე-რძო მატანა საქსოვი სახელოსნო, ანა და იმ სკოლის მი-სწავლებლათ გასდეს სოფლის შკოლაში. შირველ შემთხვევაში, აბა სად უნდა წავიდეს სამუშაოთ ურსო ქვეუხაში ცხოვრებ-ში გამოუცდელი სახლგაზდა და მასთანვე არც ისე მტრადუ პრაქტიკულად სკოლისა. შკოლე შემთხვევაში ა. ო. თუ ვერ-ძო საქსოვს გასხნის, გადაჭრით ვიტყვი, რომ დაწეება და-ღუპვისკენ წავა. მაგალითი ვიდრე იყო! სად შუემდია ოცდა-ათის, ან ორმოცი თუმიწის წარმობებამ გაუძღაო მილიონებით ატებულ წარმობებს? ეს სომ იქაქტია და თან დაწეებს არა აქვს, როგორც ზევით ვთქვი, ნამდვილი პრაქტიკული და გო-მერციული გამოცდილება; არ იცის იმ სად დაზგებზე მე-შაობა, რომლებსაც რუსეთში შინამრეწველობაში სმარობენ, რადგანაც სასწავლებელში ამუშავებდენ სულ მექანიკურ და რთულ სტანოვებზე. მესამე შემთხვევაში ე. ო. თუ საქსოვ განყოფილებიდან გამოსული მოწავე განდება იმ სკოლის მი-სწავლებლათ სოფლის შკოლაში, რა გამოვიდა? უნდა ამხ-დოს მოწავეები იმ სკოლაში, რომელსაც გასავალი არა აქვს. როგორც სედავო, ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის საქ-სოვი განყოფილება, თავის მიზნის სრულიად ვარდწევის, რ-ადგან იქიდან გამოსული მოწაველი უზრუნველ ყოფილი არც ცოფნიო და პრაქტიკით, არც გრემობით არ არის, არამედ დიდ გაცეწებაში ვარდება. ქსოვილების დამზდება და ქარ-ხნების დაარსება კანონალის საქმეს და ამიტომ სრულიად უ-დგილოა და დამღუპველია სახლგაზდისთვის, რომელსაც სა-ქსოვ განყოფილებაში დაემთავრება ვერსი, რჩევა ბ. ბათო-მის სახელოსნო სასწავლებლის ინსპექტორისა, რომ ყველა ოქიდან გამოსულმა მოწავეებმა უსათუოთ თავისი საკუთ-

ნი სახელოსნო გასხნან, ანა და თავის სკოლბას მათეც ვრ-ამარდენ. იმიტომ, რომ მოსწავლეს, რომელსაც მასწავლებ-ლის კედლებიდან გამოდის, სხვა ინტერესებში უნდა დასა-ბრეკვას არ გადადის და სახელოსნოსა სხნის, განსაცდელში ვარდება. იმის დასამტვიცებლათ, რომ ცხოვრება შორებს თა-ვის სკოლბას საქსოვ განყოფილებიდან გამოსულ მოწავეებს, მოვიყვან მატანა ცხიფის.

ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში გაერთიანება საქ-სოვ განყოფილებაში ვერსი 11 კაცს 1899 წლიდან 1901 წლამდე. ამ რიცხვიდან:

ქსოვას მასწავლებლათა ქსოვის შკოლებში 2 კაცი, ამ სკოლის ამარა დაარჩილან საკუთარ თუ საზოგადო საქსოვ სახელოსნოში 3 კაცი, სრულიად უდგილოთაა და არ იცის რას დადგას 2 კაცი, რჩინის გზაში და მწერლათაა 4 კაცი, სულ 11 კაცი.

აქედან ცხადათ ვსედავო, ამ ცოტა სხის განმავლობაში რამდენს უღალატია თავის სკოლისთვის და მოსალოდნელია სხვებზე უღალატებენ სანამ ვინმე სხვილ კანონალის მქონე გასხნადეს საქსოვ ქარხანას. ემედა ამ შენაშენის შემდეგ ცო-ტას დაუკვირდებიან თავის მდგომარეობას ქსოვის ერთგულნი ჩემი ამხანაგები და მონხვენ უფრო საბოლოო საქმეს.

ბ. ვ. ა.

წერილი რედაქციის მიმართ.

წარსული წლის „კვლის“ 43 №-ში დაბეჭდილია გორკის-ზოდენრია დ. ლახჩიუთიდან, რომლის ავტორი აღნუსსავს და-გილობრივ წიგნთსაცავ-სამეითხველას უნუგეშო მდგომარე-ობას, მაგრამ არც ისე უნუგეშო მდგომარეობაში ვართ. და ძველი ქრტი თუ ვიდრე არ გამოუცვლია სამეითხველას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სრულიად ანდრამ ასაკები იეოს. ასა-ღმა ვამტეობამ სამეითხველო ჩაობარა წარსული წლის ივლისის თვეში და მამხვე შეეგვა სალ შენობაზე ურუნვას, რაც უზი-რველეს და აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სამეითხველოს-თვის. შეიძინა დგილი საზიაროთ შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობისა, სადაც უნდა ამენდეს ისეთი ქვითვირის შენო-ბა, რომ მოთავსდეს წიგნთსაცავ-სამეითხველო, შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის კანტორა და თეატრი, სასალ-სოვითხველის თუ წარმოდგენების გასამართავათ. ამ სა-ქმისათვის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის 1900 წლის მორიგმა კრებამ გადაადო მოგობიდან 450 მანეთი. სა-მეითხველოსაც სუთას მანეთამდე იფლის შეძლება აქვს, მ-რას რადგანც ისეთი შენობა, როგორის განზრასავა ჩვენა გვექვს, დიდ სარჯის თხოულობს და იმდენი შეძლება არა აქვს,—გა-დაწევიტოთ შევჩეროთ საქმის დაწეება, ვიდრე არ მოხდება ამხანაგობის წლიური ვრება (დანიშნულია ორ თებერვალს) და არ გადადებს 1901 წლის მოგებასაც, შენობის ასაკებათ (და-სახლოვებით 1000 მანეთი იქნება). ამას ვარდა 1899 წელში, როცა ნ. მხიძე განაკება სამეითხველოს სხვა-და-სხვა ში-რებს მამართა შემწეობისათვის ბარათობით, მასუნი ბუკრისგან ჯერაც არ მივიღია; სოლო ვიცით ვი, რომ ბუკრს იფლებიც აქვთ მოგროვალი სსიჩებულ სამეითხველოსთვის და ჩქარა უთუოთ გამოგზავნასაც ინებებენ. დვილობრივ საზოგადოე-ბაშიც რამდენიმეს შეგვრებთ და შენობის ატებასაც მამხვე შე-ვუდგებით. თუ იმას ვვისუყვედრებენ, რომ ასლავე არ შევე-

დექით სქემს და ვისმე ეს შესაძლებლათ მიანიხ, ზეუნ დიდი სიამოვნებით დაუთმობთ ადგილს.

სამკითხველოს ვამბე ი. გრგინაიშვილი.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ჯ ს ა დ ე ბ ა ნ ი.

საზოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„ბ გ ა ლ ი“

(წელიწადი მუათე)

გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე.

წლის განმავლობაში „აკვალში“ დაიბეჭდება მეტწილად საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ვეროვის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურად ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შაური, ადრე სის გამოცვლა თვალსს გარეთ ღირს ორი აბაზი.

სელის მომწერლებს შეუძლიათ წლას ფული ნაწილ-ნაწილად შემატანონ:

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა კიხჯის საზოგადოების განცუარაში (სახსჯის ქუჩა, სათაკადაზნაურო ქარკასლა), რკინის გზის სადგურზე — პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „აკვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12.

ქეთისში: მიტროპოლიტის და ვ. ბეჟანაშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალსენაში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ჭიათურაში კალსტრატე ჭინაძესთან და გურასიძე ბერიძესთან; ყვირილაში ივანე არდიშვილთან. დაბა ხ.ონში — სახალხო სამკითხველოში. ძველ-სენაში — არსენ წითლიძესთან, ოზურგეთში — დომენტი შავიშვილთან. საუნჩაში — დიმიტრი მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

თფილისის კერძო სამკურნალო

მ. ბადევანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 247.

ავთმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა დღით:

კ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ. მისიელ გუდკინიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ., გარდა ხუთშაბ. და შაბათისა.

კ. გ. ფედოროვი — შინაგანი და ბავშვებისა, 9—10.

გ. გ. მადლაშვილი — შინაგ. სამშ. ღ ხუთშ. 10—11.

ნ. ა. მუდინი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა, 11—12.

ნ. ბ. ასალშენიშვილი — კბილის სნეულებანი, 10—12.

კ. მ. კლიაშვილი — შინაგ. და ბავშ. 11—12.

ქეიძე ქალი მ. ს. ბაქრაძე — ბავშვებისა, 11—12.

დ. ა. ბეჟანაშვილი — ნერვებისა და შინაგ. 12—1.

ს. გ. ბასრაშვილი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.

ს. ა. კოინო — ქირურგიული, ორშაბათობით ორშაბათობით და შაბ. 1—2.

ი. დ. ბეტაშვილი — სიფილისისა, დღეები 1 1/2—2.

ს ა დ ა მ ე თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი, 5—6.

ს. გ. მადლაშვილი — შინაგანი და ბავშვებისა. 5—6.

კ კ ი რ ა ბ ი თ:

გ. გ. მადლაშვილი — შინაგან ავთმყოფ., 10—12.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-ღარიგებისა 50 კაბ., ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

დამდამობით კვირების მორიგობას, ღამის 9 საათიდან დღის 7 საათამდე. მსურველს შეუძლიათ სასლშაგ წაიყვანონ. (წლ.)

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისთვის

ორ-კვირეულ გამოცემათა

ქართულ მწეხმსზე და რუსულ Пастыр-ზე

ქუჩნაღის ფასი:

12 თვით „მწეხმსი“ 3 მ.	6 თვით „მწეხმსი“ 2 მ.
— — რუსული 3 მ.	— რუსული 2 მ.
— ორივე გამოცემა 5 მ.	— ორივე გამოც. 3 მ.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ყვიჩილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ნ ესტატე ღამბაშიძესთან, თფილისში წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; ასაღსენაში ბლალჩინ მამა არისტარხ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელი წლით ორივე გამოცემა 3 მან.

რედაქცია იმყოფება დაბა ყვიჩილაში, რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ქუჩნაღის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „Мцкемси“ и „Пастыр“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი «მწეხმისა», რომელნიც ნახევარ ფასათ დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ქუჩნაღშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეუძლიათ დაიბარონ რედაქციიდან.

მიიღება ხელის მოწერა 1902 წლისთვის

შ უ რ ნ ა ლ

„მ ო გ ზ ა უ რ ზ ე“

გამოვა იმავე პროგრამით, ზედ დამატებით წერილებისა: პედაგოგიიდან, მეურნეობა-მრეწველობიდან, ჰიგიენა-მკურნალობიდან და სამეცნიერო კითხვებიდან.

ფასი ქუჩნაღისა გარეშე: წლით — ხუთი მანეთი, ნახევარი წლით — სამი მანეთი. ფული და წერილები უნდა გამოიზგაფნოს: Въ Тифлисъ, редакція «Могзаური».